საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 99
(11 965)
20 – 22 დეკემბერი, 2005 წ.
ფასი 40 თ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## რონალდინიოს წელიწადი



გუშინ, ციურიხში, ოპერის შენობაში გამართულ წლის შემაჯამებელ საფეხბურთო ზეიმზე ფიფა მსოფლიოს 2005 წლის საუკეთესო ფეხბურთელად ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავი, „ბარსელონას“ მოთამაშე რონალდინიო დაასახელა.

„ოქროს ბურთის“ ნომინანტთა სიას ბოლოს სამი ფეხბურთელი შემორჩა: ფრანკ ლემპარდი „ჩელსიდან“ და ორნი „ბარსელონადან“ – კამერუნელი სამოელ ეტო'ო და რონალდინიო. ცხადია, აქედან ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, ვინ გახდებოდა „ოქროს ბურთის“ მფლობელი.

შეგახსენებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ცნობილმა ფრანგულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ “ოქროს ბუცი“ მიანიჭა რონალდინიოს.

## სეოკ-ის განცხადება

23 დეკემბერს, გაიმართება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოველწლიური ტრადიციული შემაჯამებელი სესია. დასაწყისი 12 საათზე. მისამართი: ბოჭორმის, 21; სეოკ-ის ოფისი.

სეოკ-ის აღმასკომი.

## ჯაბა გელაშვილი პირველია!



სათხილამურო ინვენტარის ცნობილი ფირმა „ატომიკი“ ტრადიციულად ატარებს ჩეხეთის ღია პირველობას მოზარდთათვის სპეციალურ სლალომში. ამ ქვეყნის ქალაქ ბოჟიდარში ამჯერად 100-მდე მონაწილე იბრძოდა წარმატებისთვის. გუშინ, „ლელოს“ კორესპონდენტმა **სოფიო ხეთაგაშვილმა** გვაცნობა, რომ ჩეხეთის ღია პირველობაში წარმატებით უასპარეზეია ჩვენი ქვეყნის პერსპექტიულ სამთომეთხილამურეს, 12 წლის **ჯაბა გელაშვილს**. ქართველ ყმაწვილს ყველა მეტოქე დაუჯაბნია და თვით მასპინძელთა გუნდის ლიდერზე 3 წამით უკეთესი შედეგით მოუპოვებია პირველობა.

ვულოცავთ!

## ილია გიორგაძე უძლიერესებში

მოსკოვში დასრულდა დიდი საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში ვორონინის თასზე. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის რჩეულ ტანმოვარჯიშეებს შორის წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრების ლიდერმა ილია გიორგაძემ. ჩვენი სპორტსმენი მრავალჭიდში მეოთხე ადგილზე გავიდა. ორძელზე კი ფინალში მოხვდა და მეორე შედეგი დაასრულა პაექრობა, რგოლებზე ვარჯიშში მეოთხე იყო.

## ახლა მსოფლიო ჩემპიონიც გახდა


ვლადიმერ ჯანეზაშვილი

ამ მაღალ წარმატებას გორელმა **ვლადიმერ ჯანეზაშვილმა** ირანში კიკბოქსინგში WEK-ის ვერსიით გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში მიაღწია. ჩვენებურმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა 54 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარზე მეტოქეები, ფინალში კი ტურნირის მასპინძელს, ირანელ სპორტსმენს სძლია. მწვრთნელების **არჩილ ჯეირანაშვილისა** და **სოსო დოლიძის** შეგირდი ადრე მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალს სამჯერ ფლობდა, ახლა კი მსოფლიო ჩემპიონიც გახდა.

„უსახსრობის გამო ირანში მხოლოდ სამი სპორტსმენი წავიყვანეთ. მათ დაფინანსებაში დაგვეხმარა სპორტის დეპარტამენტი, პირადად მისი თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** და მოადგილე **ედიშერ მაჩაიძე**, აგრეთვე, შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული **მიხეილ ქარელი**“ – გვითხრა კიკბოქსინგისა და ორთაბრძოლების (ბრძოლა წესების გარეშე) საქართველოს ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა, კიკბოქსინგის მსოფლიო ფედერაციის გენერალური ასამბლეის წევრმა და ევროპის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ძიუდოში ვეტერანმა სპორტის ოსტატმა, პროფესორმა **თამაზ ჯანელიძემ**.

## სპორტის აკადემია: ახალი პერსპექტივა ევროპაში

### ბარსელონა და თბილისი სპორტული კადრების მომზადებაში და მეცნიერულ კვლევებში ძალებს აერთიანებენ



**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია მიზანმიმართულად აფართოებს კონტაქტებს უცხოეთის ამავე პროფილის უმაღლეს სასწავლებლებთან. ადრე ვწერდით უკრაინელებთან წარმატებულ თანამშრომლობაზე. ახლა კი ჩვენი აკადემიის წარმომადგენლები ბარსელონას სპორტის ინსტიტუტს სტუმრობდნენ. გუშინ, ესპანეთიდან დაბრუნებისთანავე „ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა ჩვენი აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, პროფესორ დურმიშხან ჩიტაშვილს.**

◆ ***ბატონო დურმიშხან, ვისი თაოსნობა იყო ურთიერთთანამშრომლობა ესპანელ კოლეგებთან?***

– ჩვენი და სრული მხარდაჭერაც დიდი სიამოვნებით მივიღეთ.

◆ ***და შეთანხმდით, რომ პირველი შეხვედრა ბარსელონაში შედგებოდა?***

– დიახ. ესპანელები საპასუხო ვიზიტით, გაისად, მაისში ჩამოვლენ თბილისში.

◆ ***რა არის თანამშრომლობის მთავარი მიზანი?***

– პირველი, ესაა ბოლონიაში ხელმოწერილი დოკუმენტის პრაქტიკულ რეალიზაციაში ურთიერთგამოცდილების გაზიარება და მეორე – ორმხრივი თანამშრომლობა სასწავლო-სამეცნიერო დარგში.

◆ ***რა დოკუმენტზეა ლაპარაკი?***

– ეს არის „ბოლონიის სისტემად“ წოდებული სწავლების ახლებური ორგანიზაცია ანუ სწავლების ევროპულ მოდელზე გადასვლა. ჩვენც და ევროპის ბევრი ქვეყანა, უკვე ამ ახლებლური სისტემით მუშაობს.

◆ ***რაკი ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეთ, ალბათ მიღწევებსაც შეაჯერებდით, დიდია დონეში სხვაობა?***

– არა, თანაბარ დონეზე ვართ. ოღონდ ისინი სრულყოფილად რეფორმის დასრულებას 2010 წლისთვის გეგმავენ, ჩვენ კი უკვე 2009 წელს დავასრულებთ ამ პროცესს. სპეციალისტებს იქ ბაკალავრის დონეზე ამზადებენ, შემდეგი ეტაპი გამოცალკევებულია – მაგისტრები, დოქტორები და ა.შ. ბაკალავრის შემდგომი მომზადება მიმდინარეობს სპორტის შესაბამის ფედერაციებთან ერთად. ვინც მაგისტრობას მიიღებს, ის უკვე სპეციალსტია.

შევთანხმდით სემინარების ორგანიზებაზეც. შემოგვთავაზეს დახმარება ფეხბურთში. ისინი მზად არიან ან აქ ჩვენთან, ან ბარსელონაში ჩაატარონ ორთვიანი სემინარები „ბარსელონას“ საფეხბურთო კლუბის წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით. ბარსელონას სპორტის ინსტიტუტში მაღალ დონეზეა მარკეტინგის და სოციოლოგიის სპეციალისტთა მომზადება, ბევრი სტუდენტი სწავლობს ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, ჩვენც შემოგვთავაზეს. ვნახოთ, ყველაფერი ეს ხარჯებთანაა დაკავშირებული. საერთოდ ამ ინსტიტუტში 24 სპეციალობაში ამზადებენ სტუდენტებს.

◆ ***თანამშრომლების ხელშეკრულება გაფორმდა?***

– ჩვენი ესპანელი მეგობრები ყველა საკითხს იანვრის ბოლოს განიხილავენ პროფესორთა საბჭოზე. ტექსტს მოგვაწვდიან ფაქსით, გავეცნობით და ოფიციალური სახე ორმხრივი ხელმოწერით მიეცემა.

მინდა გითხრათ, რომ მასპინძლებმა შემოგვთავაზეს დახმარება ევრო გაერთიანების უმაღლესი განათლების სისტემაში ჩართვის საკითხის მოგვარებაში. საჭიროა ორი უკვე წევრი ქვეყნის რეკომენდაცია. ერთი თავად ესპანეთი იქნება, მეორე ევროპის სხვა რომელიმე ქვეყანა, რომელსაც ისევ ესპანელები შემოგვთავაზებენ. შემოთავაზება მადლიერებით მივიღეთ.

◆ ***რას მოგვიტანს ევროგაერთიანებაში გაწევრიანება?***

– არსებობს სპეციალური პროგრამები, შესაბამისი დაფინანსებით.

◆ ***ჩვენი გამოცდილებიდან რა მოეწონათ ესპანელებს?***

– გვითხრეს, რომ დიდი სიამოვნებით მიიღებენ კონსულტაციებს ქართველი სპეციალისტებისაგან ძიუდოში.

◆ ***თქვენ რა მოგეწონათ განსაკუთრებით...***

– ყველაფერი...

ესაუბრა თენგიზ თომაშვილი.

## კლუბი მეორეა, ნოზაძე – პირველი!

როგორც ცნობლია, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელი ქართველი ფალავანი, საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის წევრი, **ოთარ ტატიშვილის** შეგირდი **რამაზ ნოზაძე** უკრაინის მოჭიდავეთა კლუბ „აზოვმაშის“ შემადგენლობაში ასპარეზობს. ამ კლუბმა შარშან ევროპის საკლუბო ჩემპიონატში პირველობა და თასი მოიპოვა. ახლა კი რუსეთელებთან წააგო ფინალი.

რამაზ ნოზაძემ ბრწყინვალედ ჩაატარა ყველა შეხვედრა, 96 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა და მცირე ოქროს მედალი დაიმსახურა.

## რადიო „იმედს“ პირველი გამარჯვებული ჰყავს

ჟურნალისტები ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში. ამ დღეებში კი სპორტის პროპაგანდისტებმა კარტინგშიც მოსინჯეს თავი. ეს ასპარეზობა დედაქალაქში გმირთა მოედანზე გაიმართა. ორ-ორი მრბოლით 9 გუნდი ჩაება სამდღიან და მრავალტურიან ასპარეზობაში. რადიოჟურნალისტთა შორის გამართულ პაექრობაში (მონაწილენი ყველა არხმა გამოიყვანა) პირველობა არავის დაუთმეს რადიო „იმედის“ პილოტებმა **გოჩა მიზანაშვილმა** და **მიხეილ თეთრუაშვილმა**. მათი წარმატება უთუოდ მისცემს სტიმულს სხვა კოლეგებს.

## კობამ ბიჭებს მოუხმო




**ევროპის ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას გუშინ შეუდგა კობა ჟორჟიკაშვილის 19 წლამდე ჭაბუკთა ნაკრები.**

19 დეკემბრიდან 29 დეკემბრამდე ნაკრები მაისში, სლოვაკეთში გასამართი შესარჩევი ტურნირისთვის და ირლანდიელ, სლოვაკ და თურქ თანატოლებთან საპაექროდ წინდაწინვე ემზადება და პირველ საწვრთნელ შეკრებას ნაკრების ტექნიკურ ცენტრში გაივლის. გუშინ, პირველი ორჯერადი ვარჯიშები ჩატარდა. კობა ჟორჟიკაშვილის განკარგულებაში 27 ფეხბურთელია: ალავიძე, გ. ჰელიძე, გ. ფიფია, გ. კახელიშვილი, შარანგია, კუმარაშვილი, გ. ხიდეშელი, გიორგაძე, რ. წინამძღვრიშვილი, მ. ბჟალავა, გ. ელბაქიძე, ჩიმაკაძე, გ. განუგრავა, ბ. გოცირიძე, ლ. ლაფერაშვილი, ნიკოლაიშვილი, რ. თევდორაძე, ლ. ხოხონიშვილი, ბენაშვილი, წულაძე, ზ. გვაძაბია, დ. მჭედლიშვილი, ი. ჩირიკაშვილი, გ. თომაშვილი, ჭეიშვილი, მ. დაუშვილი, ი. ძარია.

## ლიდერი არ შეცვლილა



როგორც ვწერდით, XII ტურში ლიდერთა დაპირისპირება თსუ-„ნიკორას“ სასარგებლოდ დასრულდა. **ლევან მოსეშვილის** შეგირდებმა ეს პრინციპული მატჩი დათმეს (მწვრთნელის აზრით, ავიამშენებელთა მარცხი შესაძლებელია არა წინასწარგანზრახულმა, არამედ მსაჯის უნებლიე შეცდომამაც განაპირობა). მესამე ადგილზე მყოფ სტუ-ს XIII ტურში მოგების შანსი, ალბათ, ნაკლებად ჰქონდა, ხოლო „ავიამშენს“ დამატებითი მოტივაცია მიეცა ამ შეხვედრის აუცილებლად მოსაგებად. „ნიკორა“ კი „ქუთაისს“ ხვდებოდა და ლიდერის გამარჯვება აუტსაიდერთან ხომ, საერთოდ არანაირ ეჭვს არ იწვევდა.

ეს ტური გუშინ, ვერის ბაღში „დინამო“ – სსუ-ს შეხვედრით გაიხსნა, დინამოელებს არ გაჭირვებიათ სოხუმელებთან მოგება – 98:68. ეს იყო დინამოელთა მეექვსე მოგება და სსუ-ს მეთერთმეტე მარცხი ჩემპიონატში.

შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ ავიამშენებლები და პოლიტექნიკოსები. მეტოქეებმა თავი არ დაზოგეს, თუმცა, საბოლოოდ „ავიამშენს“ ხვდა წარმატება – 100:98. ასე რომ, ცხრილში ლიდერთა შორის გადაჯგუფება არ მომხდარა. „ნიკორამ“ 22 ქულის სხვაობით აჯობა „ქუთაისს“ – 84:62. „აზოტმა“ რუსთავში მაქაბს უმასპინძლა და გაიმარჯვა – 103:71.

**კალათბურთი. ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი**

**გათამაშების ცხრილში ახლა ვითარება ასეთია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნიკორა | 13 | 13 | 0 | +314 | 26 |
| ავიამშენი | 13 | 11 | 2 | +302 | 24 |
| აზოტი | 13 | 7 | 6 | +144 | 20 |
| დინამო | 13 | 6 | 7 | +69 | 19 |
| სტუ | 12 | 7 | 5 | +18 | 19 |
| მაქაბი | 13 | 3 | 10 | -282 | 16 |
| სსუ | 13 | 2 | 11 | -290 | 15 |
| ქუთაისი (-1) | 12 | 2 | 10 | -212 | 14 |

## «ბენდელა» დალაგდა




გუშინ, კუს ტბაზე გაიმართა „ბენდელას თასის“ კენჭისყრა. გაირკვა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც XIV ტრადიციულ ტურნირში იასპარეზებენ. თორმეტი გუნდი სამ ჯგუფად გადანაწილდა:

**A ჯგუფი** – „სიონი“, „ნაძალადევი“, „დინამო“ (ვეტერანები) „ნაციონალები“;

**B ჯგუფი** – „სეუ“, „ირაო“, „საბურთალო“, „იამაჰა“.

**C ჯგუფი** „სეუ2“, „დინამო“ (ახალგაზრდული) „ჩიხურა“, „სკონტო“ – „აკადემია“;

ტურნირი 23 დეკემბერს დაიწყება, ხუთ დღეს გასტანს, 28 დეკემბერს კი გაირკვევა გამარჯვებულის ვინაობა. ტურნირში ტრადიციულად მონაწილეობენ ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდები, ლეგიონერები და ვეტერანი ფეხბურთელები.

* * *



საქართველოს სპორტის დეპარტამენტი ყოველმხრივ მიესალმება მსგავსი შეჯიბრების ჩატარებას, რადგან ქვეყანაში სპორტის მასობრიობა ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. ასეთი ტურნირის გამართვა მით უფროა მნიშვნელოვანი, რომ იგი საქართველოს მთლიანობისთვის დაღუპული ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის ხსოვნას ეძღვნება. იმედი მაქვს, რომ ტურნირის მონაწილეები ღირსეული ქცევით და ლამაზი თამაშით უფრო შეუწყობენ ხელს ტურნირის პოპულარობას.

დავით ნამგალაური,
საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

# დიმიტრი მინდიაშვილის ფენომენი!




სპორტის სფეროში ბევრ ჩვენს გამოჩენილ თანამემამულეს ვიცნობ, რომელთა ნაღვაწ-ნაამაგარს თაობები სამაგალითოდ რომ გაიხდიან და იამაყებენ კიდეც. ჩვენს თანამედროვეზე, ლეგენდარულ დიმიტრი მინდიაშვილზე ვის არ სმენია.

ქართული საჭიდაო სკოლის მადლს ყმაწვილობიდან ეზიარა. მაგრამ მისთვის სპორტი საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენით მაღალი შედეგების მიღწევის საშუალება როდი იყო მხოლოდ. სპორტი მან მიზანმიმართული მოღვაწეობის სფეროდ და ამ სფეროში გამორჩეულად თვითდამკვიდრების ასპარეზად აქცია, ოღონდ, მეცნიერებასთან მჭიდრო კავშირში.

აუცილებელი არ არის დიდი შემოქმედი დიდ ქვეყანაში დაიბადოს, ნიჭი თავის გზას მაინც მონახავს და გასაქანს გაიფართოვებს.

დიმიტრი მინდიაშვილი ჯერ უკიდეგანო საბჭოთა სივრცეში იქცა ჭიდაობის „ქურუმად", შემდეგ რუსეთმა „დაისვა ხელის გულზე" და...

დღეს იგი არის ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებში კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორის მრჩეველი, თავისუფალ ჭიდაობაში ამავე მხარის ფედერაციის პრეზიდენტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რუსეთისა და უცხოეთის ექვსი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის ფედერაციის კულტურის დამსახურებული მუშაკი, სსრ კავშირის, რუსეთის და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. დაჯილდოებულია „ხალხთა მეგობრობის", „მეგობრობის" ორდენებით, „პეტრე დიდის საპატიო ნიშნით", საქართველოს „ღირსების ორდენით", უამრავი მედლით....

ლეგენდა დიმიტრი მინდიაშვილზე სათავეს კრასნოიარსკიდან იღებს, სადაც ქართველმა სპეციალისტმა მსოფლიოში სახელგანთქმული სკოლა შექმნა თავისუფალ ჭიდაობაში. ამ სკოლამ კი ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში მძლავრი იმპულსი მისცა, საერთოდ, სპორტის განვითარებას. ეს უკვე ისტორიაა, მაგრამ მარადისობაში გადასული, მარად ცოცხალი და განვითარებადი.

1958 წელი. მინდიაშვილების ახალგაზრდა ოჯახი კრასნოიარსკში ჩადის. დიმიტრი მონაწილეობს აბაკან — ტაიშეტის გზის, კრასნოიარსკის ჰესის, ენისეიზე კომუნალური ხიდის მშენებლობებში, მაგრამ განაგრძობს სპორტში მეცადინეობასაც. იმავე წელს, ყველას გასაოცრად, ხდება მხარის ჩემპიონი და იმარჯვებს რუსეთის პროფკავშირების სპარტაკიადაში, სსრ კავშირის ჩემპიონატში კი მშობლიურ თბილისში იასპარეზა, მართალია, დაიკავა მეთხე ადგილი, მაგრამ პირველი თავისუფალი სტილის მოჭიდავე იყო კრასნოიარსკიდან, ვინც სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ტალანტი და მოწოდება შინაგანი ხმით არ მოასვენებსო ადამიანს — ნათქვამია. დიმიტრი მინდიაშვილმა იგრძნო, რომ „შინაგანი ხმა" მწვრთნელობისკენ მოუწოდებდა. ბევრი არ უფიქრია, თანადგომაც მიიღო და საქმეს შეუდგა.

სპორტსაზოგადოება „ტრუდი" მაშინდელი იდეოლოგიით მშრომელი ახალგაზრდობის სპორტულ დაოსტატებას ემსახურებოდა. ქართველმა მწვრთნელმა მიზნად ერთადერთი ამოცანა დაისახა — შეგირდთა შესაძლებლობების სრული გახსნით მიეღწია მაღალი შედეგებისთვის, საამისოდ კი არც დროს ზოგავდა, არც ენერგიას.

პირველად, როცა მისმა აღსაზრდელებმა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ჩემპიონატში გამოიჩინეს თავი, იქაურმა სპორტის მესვეურებმა ნათელი პერსპექტივის იმედი ირწმუნეს.

ჯერ დიდი დრო არ გასულა, 1960 წლის შუა პერიოდია, კრასნოიარსკი კი მხარეში უკვე თავისუფალი ჭიდაობის ცენტრად იქცა. დღეს უკვე მთელ დედამიწის ზურგზე თვალსაჩინო მიღწევებით ცნობილ კრასნოიარსკის საჭიდაო სკოლას მწვრთნელთან ერთად საფუძველს უყრიდნენ მისი მოსწავლეები ვლადიმირ ჩარკოვი, ვლადიმირ ზაიცევი, ვალერი ივანოვი, ვლადიმირ გუსევი და სხვები. ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურისკენ კრასნოიარსკის მხარიდან გზა პირველმა გაიკვლია ივან იარიგინმა, რომელიც შემდეგ მეორედაც გახდა ოლიმპიადის ჩემპიონი. ასეთი წარმატება მანამდე რუსეთში არავის ჰქონია თავისუფალ ჭიდაობაში — იარიგინი პირველი იყო.

დიმიტრი მინდიაშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის აგრეთვე ლ. თედიაშვილის, ბ. საიტოვის, ვ. ალექსეევის, ა. ატავოვის, ვ. ბატნის, ს. მურთაზალიევის, ვ. მოდოსიანის, ს. კარამჩაკოვისა, და სხვათა წარმატებებში. 30 წელიწადზე მეტი იყო რუსეთის ეროვნული ნაკრების ჯერ უფროსი, შემდეგ კი მთავარი მწვრთნელი.



ძიება გრძელდებოდა. მინდიაშვილის თაოსნობით კრასნოიარსკში იხსნება უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლა, რომელიც მისივე სახელობისა გახდა. მასვე ხვდა წილად სკოლის სამუდამო ხელმძღვანელობაც. მაგრამ ეს რიგითი სკოლა არ იყო. გარდა იმისა, რომ იგი იქცა ჭიდაობის სახეობათა ორგანიზაციულ-მეთოდურ კერად, მალე იქვე გაიხსნა რუსეთის ნაკრები გუნდების მომზადების ცენტრის ფილიალი, საიდანაც გამოვიდა შვიდი ოლიმპიური ჩემპიონი, ორი პრიზიორი, ათეულობით მსოფლიო, ევროპის და რუსეთის ჩემპიონი.

საოცრებათა კასკადი ამით არ დასრულებულა. მინდიაშვილის ახალ წინადადებას, მისი სკოლის ბაზაზე, პე-




დაგოგიურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ჩამოყალიბებულიყო ი. იარიგინის სახელობის ორთაბრძოლების ინსტიტუტი, ყველა მოწონებით შეხვდა, პირველ დირექტორად დიმიტრი დანიშნეს. იქვე გაიხსნა ასპირანტურა, შეიქმნა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის სამეცნიერო საბჭო. სწორედ ამ ინსტიტუტში დამუშავდა კრასნოიარსკის მხარეში თავისუფალი ჭიდაობის განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომელიც წარმატებით ხორციელდება ხელისუფლების სრული მხარდაჭერით.

დამაარსებლისა და ხელმძღვანელის თავკაცობით სკოლის ღირსებასა და ავტორიტეტს განასახიერებენ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური ჩემპიონი ა. შუმაკოვი, სსრ კავშირის და რუსეთის დამსახურებული მწვრთნელები — ვ. ჩარკოვი, ვ. გუსევი, ს. ხაჩეკიანი, ფ. პაველოვსკი, რუსეთის დამსახურებული მწვრთნელები — ა. სოლოპოვი, ვ. ხორიკოვი, ვ. ნაზაროვი, მ. გამზინი, რუსეთის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკები — ნ. კუდიკოვა, რ. ციმბალისტი, ვ. იზოტოვა, ვ. ალექსეევი, იარიგინის სახელობის ინსტიტუტის დირექტორი და სკოლის სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. ზავიალოვი, რუსეთის დამსახურებული ექიმი ა. ბელოვი, კრასნოიარსკის მხარის ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი გ. რინკევიჩი.

დღეს მთელი მსოფლიოდან ჩადიან სპორსტმენები ოსტატობის დონის ასამაღლებლად კრასნოიარსკში. უცხოელ სპორტსმენთა მომზადებაში გაწეული დახმარებისა და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონების აღზრდისათვის დიმიტრი მინდიაშვილი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) ოქროს მედლით ორჯერ დააჯილდოვა, რაც იშვიათი შემთხვევაა.

1972 და 1976 წლებში ჩვენი თანამემამულე აღიარეს სსრ კავშირის საუკეთესო მწვრთნელად, 2000 წელს კი რუსეთის საუკუნის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა. 1998 წელს ელცინის, 2004 წელს კი პუტინის პირადი მადლობა დაიმსახურა გაწეული ღვაწლისათვის.

აი, რას ვკითხულობთ ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში: „დიმიტრი გრიგორის ძე მინდიაშვილი დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობს თავის მოსწავლეებში, კოლეგებში, როგორც კრასნოიარსკის მხარეში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მას პატივს მიაგებენ, როგორც ახალგაზრდების აღმზრდელს, პედაგოგს და მეცნიერს. უსაზღვროდ უყვარს რა თავისი სამშობლო — საქართველო, ის კრძალვას და უდიდეს მადლიერებას გამოხატავს რუსეთისა და კრასნოიარსკის მიმართ, სადაც ჩამოყალიბდა, როგორც პიროვნება, რომელმაც შორს გაითქვა სახელი".

რა უნდა შეძლოს ამაზე მეტი ერთმა ქართველმა სამშობლოს ფარგლებს გარეთ. უყვარდეს თავისი ქვეყანა და პატივს სცემდეს იმასაც, სადაც სრულად მისცა გასაქანი თავის „შინაგან ხმას". მთავარია, პირნათელი იყო. დიმიტრი მინდიაშვილი, ეს მართლაც დიდი კაცი, დიდი პიროვნება, თავაწეული დადის რუსეთშიც და საქართველოში. მას აქვს ამის უფლება, ეს უფლება კი ათწლეულობის განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომითაა მოპოვებული. „ციმბირელი პაპა", როგორც მას იქაც და აქაც სიყვარულით მიმართავენ, ამ დღეებში თბილისს სტუმრობდა. კრასნოიარსკის და ლესოსიბირსკის, დაღესტნის ხასაკიურტის საპატიო მოქალაქის ოცნებად ქცეული სურვილია გახდეს დედასამშობლოს რიგითი მოქალაქე. მკითხველი, ვფიქრობთ, ადვილად მიხვდება თუ რას ნიშნავს ეს მშობლიურ მიწა-წყალს მოშორებული ქართველისთვის. მით უმეტეს, ისეთისთვის, როგორიც ბატონი დიმიტრი მინდიაშვილია.

მალე მოგველოცოს სურვილის ასრულება, ჩვენო ღირსეულო თანამემამულევ!

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

**სურათებზე:** „ციმბირის ბეჭდვითი სახლის" მიერ დიმიტრი მინდიაშვილზე გამოცემული წიგნები; დიმიტრი მინდიაშვილი რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის დროს.

თუ სხვაგან ვერ მოახერხეთ, „ლელოს" შეძენა ყოველთვის შეგიძლიათ გამომცემლობა „სამშობლოს" (კოსტავას ქ.14) წინ, გამავრცელებელთან.

# ლეგენდა კი დარჩა...




გამოჩენილ სპორტსმენზე წიგნის შექმნა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ავტორს, მით უფრო, თუ ეს სპორტსმენი განსაკუთრებით გამორჩეულია და გარემოსილია საყოველთაო სიყვარულით. სწორედ ასეთ პიროვნებაზე წიგნის დასაწერად განეწყო ცნობილი სპორტული ჟურნალისტი **დავით ჭელიძე**. განეწყოო, იმიტომ ვამბობთ, რომ ზურაბ საკანდელიძეზე წიგნის წერას, უბრალოდ, მოვალეობის მოხდის მიზნით ვერ შეეჭიდები. ჩვენ ვიცით, რა პასუხისმგებლობით მოეკიდა დათო ამ საქმეს, რა რუდუნებით აგროვებდა მასალებს, რამდენ დროს უთმობდა თუნდაც „ლელოს" არქივში ძიებას.

ასე იშვა წიგნი „კანდელი ზურაბ საკანდელიძისა". წიგნი ქართული კალათბურთის ყველაზე ტიტულიან სპორტსმენზე, მის ცხოვრებასა და სპორტულ წარმატებებზე. ავტორს გვარის ძირიდან დაუწყია ძიება, რათა უფრო ნათელი და სრული წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს საკანდელიძეების ოჯახის მეშვიდე შვილზე, რომელიც 1945 წლის 9 აგვისტოს მოევლინა ამ ქვეყანას ქუთაისში.

ავტორი სწორედ ქუთაისიდან იწყებს მკითხველის მეგზურობას, გვაცნობს ზურაბის ბავშვობას, დიდებულ მწვრთნელთან სულიკო თორთლაძესთან გადადგმულ პირველ სპორტულ ნაბიჯებს, თბილისში გადმოყვანის ეპიზოდებს, „დინამოში" გატარებულ წლებს თუ საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე მიღწეულ ბრწყინვალე წარმატებებს ოლიმპიური თამაშების და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლების მოპოვების ჩათვლით.

„ზურაბ საკანდელიძე მადლიერი კაცი იყო. ამ წიგნში ნახავთ, როგორ ეფერება და ემადლიერება, როგორი პატივისცემით იხსენიებს იგი თავის აღმზრდელებს, მწვრთნელებს — სულიკო თორთლაძეს, მიხეილ კეკელიძეს, ოთარ ქორქიას, ალექსანდრ გომელსკის...

მსიამოვნებდა მის გვერდით თამაში. ყურადღებიანი იყო, ალღოიანი, დამჯერი, ფენომენალური თვისებები ჰქონდა და, ერთი შეხედვით, ყველაფერი იოლად გამოსდიოდა" — იგონებს ამავე წიგნში ქართული კალათბურთის ბრწყინვალე წარმომადგენელი, „დინამოს" ყოფილი კაპიტანი გურამ მინაშვილი.

„ლამაზი ვაჟკაცი, მფრინავი რაკეტა, არტისტული სპორტსმენიო, — წერდნენ უცხოელი ჟურნალისტები თუ სპეციალისტები. თანამემამულეები მის სხვა პიროვნულ, ადამიანურ თვისებებსაც უსვამდნენ ხაზს: სპეტაკი და ალალი კაცი, გულმოწყალე, თავაზიანი, თავმდაბალი, მიმტევებელი, სხვათა ჭირის გამზიარებელი, უშურველი, გულითადი მეგობარი, მოსიყვარულე მამა და მეუღლე" — ასეთი იყო ზურაბ საკანდელიძე, რომელიც 2004 წლის 25 იანვარს 59 წლის ასაკში წავიდა იმქვეყნად, წავიდა ცხოვრების ბოლო წლებში შვილის, ზურას ტრაგიკული სიკვდილით სევდამწარებული, ფიზიკურად და სულიერად გამოფიტული. მაგრამ ამქვეყნად დარჩა ლეგენდა, რომელსაც ზურაბ საკანდელიძე ჰქვია.

P.S. ალბათ დაგაფიქრათ წიგნის სათაურმა. ამის თაობაზე აი რას წერს ამავე გამოცემაში ზურაბის გამზრდელი, მისი უფროსი ძმა, თავად ვეტერან — კალათბურთელი ანზორ საკანდელიძე: „ჩვენს გვარს წინსართი „სა" და ბოლოსართი „ძე" რომ გამოაკლო, ფუძეში რჩება ყველა ქართველი მართლმადიდებლისთვის უწმინდესი სიტყვა „კანდელი". აქედან გამომდინარე, ჩვენი გვარი თითქოს რაღაცით ღმერთს უკავშირდება და ამიტომ ამ გვარის მატარებლებს უფლება არა გვაქვს, უღმერთოდ ვიცხოვროთ"...

# ტაეკვონდოს სეზონი ეროვნული ჩემპიონატით დასრულდა

ტაეკვონდო სპორტის ოლიმპიური სახეობაა და ესეც დიდი სტიმულია, რომ ბევრი მიმდევარი ჰყავს საქართველოში, განსაკუთრებით, მოზარდთა შორის. ამიტომაცაა, რომ ეროვნული ფედერაცია ცალკეულ ასაკში ატარებს ქვეყნის ჩემპიონატს. ის მოზარდები კი, ვინც რამდენიმე წლის წინათ შეუდგა დაოსტატებას, დღეს ძირითად ნაკრებში იცავს საქართველოს სპორტულ ღირსებას.

ამ დღეებში თბილისში ლ. თედიაშვილის სახელობის ჭიდაობის კომპლექსმა საქართველოს ჩემპიონატს სამ ასაკობრივ ჯგუფში უმასპინძლა. გუნდები წარმოადგინეს თბილისის, ქუთაისის, წყალტუბოს, ბათუმის, ფოთის, ხაშურის, ბორჯომის სპორტსკოლებმა და კლუბებმა.

როგორც მსაჯთა კოლეგიის წარმომადგენელმა **ზურაბ ელოშვილმა** აღნიშნა, ჩემპიონატმა მაღალ დონეზე ჩაიარა და სრულად გაამართლა მოთხოვნები.

როგორ დამთავრდა, საერთოდ, წლევანდელი წელიწადი? ამ შეკითხვაზე ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **დავით ბაბუაძემ** ასე უპასუხა: „საქართველოს სპორტის დეპარტამენტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური ფონდის ხელშეწყობით და თანადგომით წლეულს ტაეკვონდოს ფედერაციის სხვადასხვა ასაკის ნაკრებმა გუნდებმა იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირებსა და ევროპის პირველობებში, რამაც აამაღლა სპორტსმენთა ოსტატობის დონე და ხელი შეუწყო მათ გამოცდილების შეძენაში".

ახლა კი დავუბრუნდეთ ზემოხსენებულ საქართველოს ჩემპიონატს. ყველაზე მეტი გუნდით თბილისი იყო წარმოდგენილი, თბილისელები ხარისხითაც გამოირჩეოდნენ — გამარჯვებულთა და პრიზიორთა უმრავლესობა დედაქალაქელია. პირველ ადგილზე გავიდნენ: **ბექა ლოლაძე** (28 კგ), **ალექსანდრე გვასალია** (46, ორივე — ორს), **ვახტანგ ჯაფარიძე** (49), **ალეკო უშურაული** (52), **უჩა წულაია** (59), **გიორგი ნიკოლიშვილი** (58), **სოსო ოსიძე** (აბს.წონა, ყველა — „თბილისი"), **სალომე ტყეშელაშვილი** (59, „საბურთალო"); მეორე პრიზიორები გახდნენ: **ტარიელ შათირიშვილი** (33), **დაჩი ბოტკოველი** (37), **ლევან პერტაია** (46), **ბექა ერაძე** (59), **თეონა გოჩიაშვილი** (59), ყველა — („თბ"), **ნიკა ღურწკაია** (43), **გიგა სონღულაშვილი** (49), **შოთა გოჩიაშვილი** (72, ყველა — ორს), **გიორგი გოგილიძე** (52), **ტრისტან სამხარაძე** (68, ორივე — მე-9 სკ.) **მარი ბერიძე** (40, „საბ"); მესამე ადგილზე გავიდნენ: **საბა ფარადაშვილი** (33), **გიორგი ლოლაშვილი** (46), **ზაზა უფრიანი** (59), **აშოტ კარაპეტოვი** (68), **მიხეილ თოთრაშვილი** (72, ყველა — მე-9 სკ.), **ლადო ჯიქიძე** (37), **კახა ბიჩინაშვილი** (43), **ავთანდილ კოდალაშვილი** (58), **გიტა ჩერქეზია** (40), **ნათია ბასილია** (55), **მაგდა გაბრიჭიძე** (59, ყველა — „თბ"), **ბექა უმიკაშვილი** (37), **შალვა მაისურაძე** (59, ორივე — ორს); **მირზა ყვავაძე** (72), **ზურაბ შენგელია** (აბს. წონა), **ნინო რევია** (59, სამივე — „საბ").



„ლელოზე" ხელმოწერა გრძელდება
ლელო

3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი
6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი

№35 (49) დეკემბერი, 2005 წელი


# კავკასიური კარატეს ზეიმი თბილისში



# საქართველო — კავკასიის კარატეს ლიდერი





18 დეკემბერს, ქართულმა კარატემ კიდევ ერთხელ ხაზგასმით დაამტკიცა, რომ კავკასიაში ნამდვილი ლიდერია! „საქართველოში კარატე მაღალ დონეზეა განვითარებული, რაც სენსეი კახა ბასილიას დიდი დამსახურებაა... ხოლო „კავკასიის თასის“ საერთაშორისო ტურნირი ერთერთი ყველაზე პრესტიჟულია საერთაშორისო ტურნირებს შორის, რომელიც ჩვენ, კარატეს მსოფლიო ფედერაციამ ჩვენს სპორტულ კალენდარში შევიტანეთ და ყურადღებით ვადევნებთ თვალს“, — განაცხადა წლევანდელი ვიზიტის დროს წინასაშეჯიბროდ გამართულ პრესკონფერენციაზე შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფინსტრუქტორმა, მერვე დანმა და ლეგენდარულმა ოსტატმა, სენსეი ჰოტოში კასუიამ. აღსანიშნავია, რომ ჰიტოში კარატეს იაპონელმა დიდოსტატმა „კავკასიის თასს, 16 და 17 დეკემბერს, წინ საერთაშორისო სემინარები წარუმძღვარა, რომელშიც 500-ზე მეტი მონაწილე იყო. მათგან, სენსეი კასუიამ გამოცდებიც ჩაიბარა და საერთო დონით კმაყოფილება გამოთქვა.

სენსეი კასუიას სიტყვები ამჯერადაც გაამართლა საქართველოს კარატედ-დოს ეროვნულმა ფედერაციამ და წლევანდელი კავკასიური თასი და მედლები, უკვე მეცხრედ, საკმაოდ მაღალ დონეზე გაათამაშა. მსოფლიოს თანამედროვე კარატეს ლიდერმა, ჰიტოში კასუიამ ტურნირის მაღალ დონეზე

☞





# 世界松濤館空手道連盟

# კავკასიის თასი 2005

☞

ჩატარებისათვის მადლობა გადაუხადა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, კახა ბასილიას და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ნამგალაურს. პრესტიჟული „კავკასიის თასისთვის“ ხუთი ქვეყნის 8000-ზე მეტი კარატისტი იბრძოდა, თუმცა თასიც და მედლების დიდი რაოდენობაც საქართველოს დარჩა. 18 დეკემბერს, „კავკასიის თასი 2005“-ისთვის საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთისა და ყაზახეთის კარატეს ეროვნული გუნდები იბრძოდნენ. ორთაბრძოლებში მაღალი კლასი და კლასიკური ტექნიკის დემონსტრირება ხდებოდა, რაც საქართველოში და თავისთავად კავკასიაში, კარატეს მაღალ დონეზე განვითარებაზე მიუთითებს.„

„მე ამ საერთაშორისო ტურნირით კმაყოფილი ვარ. წლევანდელი წელი რომ ნაყოფიერი და წარმატებულია ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა აქ „კავკასიის თასის“ გათამაშებაზე. ჩვენი დახმარებისთვის მინდა მადლობა გადავუხადო სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ნამგალაურს, მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფინსტრუქტორს, სენსეი ჰიტოში კასუიას და, რა თქმა უნდა, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ყველა წევრს, რომლებმაც ძალა არ დაიშურეს რომ ტურნირს საერთაშორისო მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. ხოლო წლის ბოლოს, ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვავლენთ 2005 წლის საუკეთესო კარატისტებს და ტრადიციულად, სახელობითი მედლებითაც დავაჯილდოვებთ“, – განაცხადა ტურნირის საზეიმო გახსნის დროს საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ.

## შედეგები:

ვაჟები

6 წელი
I გურამ ჯიჯელავა
II ცოტნე დვალი
III შოთა ლაკია
III პოლოს ბადალიანი

7 წელი
I მიშა ადამია
II გაგა მოსეშვილი
III რეზო მამულაშვილი
III გოგა ჩოკორაია
III ედგარ გურგენიანი

8 წელი
I გიორგი ასაშვილი
II გიორგი ხუციშვილი
III გელა კორთხონჯია
III გოგო დალაქიშვილი

9 წელი
I ლაშა მუჩიაშვილი
II გიორგი ნადაშვილი
III ალიკ საფაროვი
III თემურ გორძამაშვილი

10 წელი
I ?დავით დარჩია
II დავით ფირცხალაიშვილი
III ვაჟა რამიშვილი
III ივერი ნიაზაშვილი
III ბექა მოსეშვილი

12 წელი
I ლაშა აბრამიშვილი
II რატი გოდალაძე
III ბექა მექოშვილი
III ნოდარ ნებიერიძე

13 წელი
I კოტე ბობოხიძე
II თენგიზ კვერცხიშვილი
III ილია დალაქიშვილი
III ბექა ბერანაძე

14 წელი
I ჰენრი ვეკუა
II ბექა სამანიშვილი
III თორნიკე ბახტაძე
III გიორგი ლოხიშვილი

15 წელი
I გიგა ნაცვლიშვილი
II გიორგი ყორშია
III ბახტარ მირზაევი
III ნიკა მირცხულავა
III არტურ ამბარცუმიანი

16 წელი
I ბექა მუმლაძე
II გოგა ხუფენია
III ცოტნე ცომაია
III გიორგი ლიპარტელიანი

+ 18 წელი

– 55 კგ.
I დავით ტყებუჩავა
II ემზარ თაგლი
III ლაშა ფაცურია

– 60 კგ.
I დავით ტყებუჩავა
II ბექა კუხიანიძე
III რომან გოგია
III როლანდ გოგია

– 65 კგ.
I ირაკლი ტყებუჩავა
II დათო ჭელიძე
III ირაკლი ბურაშვილი
III ლევან ლომიძე

– 70 კგ.
I ლევან გორელაშვილი
II გიორგი მაჩაბელი
III ირაკლი ტყებუჩავა
III ავიად ქეცბაია

– 75 კგ.
I გიორგი ხოხაშვილი
II კახა ეგნატაშვილი
III გიორგი ლიპარტელიანი
III დავით აბრამიშვილი

– 80 კგ.
I გოგიტა არქანია
II რუდიკ სარგრუნოვი
III მამუკა ქავთარაძე
III ირაკლი ჩხიტუნიძე

გოგონები:

11 წელი
I თეონა სულამანიძე
II ნინო კაიშაური
III ანა მელაჭეიშვილი
III თეა თევზაძე

12 წელი
I ნონა მერაბიშვილი
II ნათია ნოდია
III სალომე მითაიშვილი
III თიკო ორაგველიძე

13 წელი
I თათია თურქია
II ნუცა კობალავა
III ნათია სოსებაშვილი
III აზა დერბოიანი

14 წელი
I მაია თაყაძე
II ნუცა კობალავა
III ქრისტინე ზესაშვილი
III თამრიკო გულორდავა

+ 16 წელი

+ 60 კგ.
I ნათია თურქია
II ნანა დარასელია
III მაკა ტყებუჩავა







ნუგზარ ჭიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

空手道

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

# ტოსტაომ ძალიან იჩქარა

თვალსაზრისი

„ლელოს" 95-ე ნომრის მეხუთე გვერდზე წავიკითხე მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონის, ბრაზილიის ნაკრების ბრწყინვალე თავდამსხმელის **ტოსტაოს** პატარა წერილი, სადაც აღფრთოვანებული მოთამაშე აცხადებს, რომ „ბარსელონას" გამოჩენილმა ნახევარმცველმა და თავისი ქვეყნის ნაკრების წევრმა **რონალდინიომ** უკვე მიაღწია სუპერვარსკვლავთა ისეთ დონეს, როგორებიც იყვნენ მარადონა, **გარინჩა** და **ალფრედო დი-სტეფანო**. ტოსტაო მიიჩნევს, რომ რონალდინიოს წინ მხოლოდ **პელე** დგას. „ბარსელონას" ლიდერის ფინტები უნიკალურია.

ჩემთვის, როგორც ბრაზილიური ფეხბურთის სტაჟიანი გულშემატკივრისათვის, ტოსტაოს ასეთი განცხადება მეტისმეტად ნაადრევი მიმაჩნია. ძნელი დასაჯერებელია, რომ მსოფლიოს IX ჩემპიონატის ერთ-ერთ გმირს არ ენახოს XX საუკუნის ლეგენდარული თავდამსხმელების — **მანუელ ფრანცისკო დოს-სანტოს-„გარინჩას"**, დიეგო არმანდო მარადონას და ალფრედო დი-სტეფანოს თავბრუდამხვევი ფინტები, სასწაული მდგომარეობიდან გატანილი ბურთები. გარინჩა და მარადონა ამას აკეთებდნენ არა რომელიმე კლუბების, არამედ, საკუთარი ქვეყნების ნაკრები გუნდების შემადგენლობებში, თანაც მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების დროს. ტოსტაოსა და მისი აზრის ზოგიერთ მომხრეს მინდა შევახსენო, რომ ზემოაღნიშნული სუპერვარსკვლავები მსოფლიოს ჩემპიონატებს იგებდნენ, ხოლო დი-სტეფანომ უდიდესი წვლილი შეიტანა მადრიდის „რეალის" ევროპის ჩემპიონთა თასის არაერთგზის მოპოვებაში.



იგორ გორანსკის მიერ 1988 წლის „ფიზკულტურა ი სპორტის" მიერ გამოცემულ წიგნში, რომლის სათაურია — „მანუელ დოს-სანტოს გარინჩას ცხოვრება და მოღვაწეობა", 31-ე გვერდზე წერია: „1962 წლის რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში „ბოტაფოგომ" (3-0) მოუგო „ამერიკას". იმ დღეს განსაკუთრებით ბრწყინავდა გარინჩა, რომელიც წარმოუდგენელ ფინტებს ასრულებდა, გაუთავებლად ატყუებდა მცველებს. „ფეხბურთის გენიად" შერაცხულმა მარჯვენა გარემარბმა განსაკუთრებით სისხლი გაუშრო თავის პერსონალურ მეურვეს — „ამერიკას" ოთხ ნომერს. ეს უკანასკნელი სულ მიწაზე გორაობდა, ტრიბუნებზე ხარხარი ისმოდა. გაწბილებულმა მცველმა შეხვედრის მსაჯს მიმართა:

— მე ვერაფერი გავაწყე გარინჩას წინააღმდეგ, მისი ფეხები სასწაულს ახდენენ მინდორზე. თანახმა ვარ მომატყუოს, მაგრამ ნუ შემქნის ჩემგან ჯამბაზს. ყველამ, ვინც კი ახლოს იყვნენ, ჩინებულად მოისმინეს მსაჯის განცხადება:

— წადი, ითამაშე, ბიჭო, თუ იგი ისევ დაგიწყებს აბუჩად აგდებას, მე იძულებული ვიქნები გავაძევო გარინჩა მოედნიდან. თავისი გადაწყვეტილება მსაჯმა ხმამაღლა გაუმეორა „ბოტაფოგოს" მარჯვენა გარემარბს. გაოცებული თავდამსხმელი გვერდით მსაჯთან მივიდა და შეცვლა მოითხოვა. როცა იგი გასახდელისკენ მიემართებოდა, მან კიდევ ერთხელ მიიღო ბურთი. მყისვე შეასრულა ჩაფიქრებული ფინტი, მერამდენედ გააპამპულა თავისი მეურვე და კარში დარტყმაც მოასწრო. ტრიბუნების აღტაცებული შეძახილების თანხლებით გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში მიიმალა.

აღნიშნული შეხვედრის შემდეგ მსაჯი „ბოტაფოგოს" გასახდელში მივიდა და ოფიციალური ბოდიში მოიხადა..." მის თანამემამულე ტოსტაოს ალბათ დაავიწყდა ფეხმრუდი თავდამსხმელის უდიდესი ღვაწლი შვედეთის VI და ჩილეს VII ჩემპიონატებში ბრაზილიის ნაკრების ტრიუმფალურ წარმატებაში. გარინჩა უყვარდათ მთელ მსოფლიოში. 1958 წლის ზაფხულში, ბრაზილიელთა პირველად გაჩემპიონების შემდეგ, ქვეყნის პრეზიდენტის კუბიჩეკის ბრძანებით, ფინანსთა სამინისტრომ საგანგებოდ დაბეჭდა 1000 კრუზეირო (დღეს აქაურ ფულს რეალი ეწოდება), რომელზედაც გარინჩა და პელე იყვნენ გამოსახული. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

აბა როგორ შეიძლება დიეგო მარადონას მიერ მოგებული მექსიკის 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატი არ გავიხსენო, როცა არგენტინელთა სუპერვარსკვლავმა ფინტების მთელი კასკადით თავბრუ დაახვია ყველა მეტოქეს. სწორედ მისმა ფილიგრანულმა ტექნიკამ მეორედ მოუტანა არგენტინას მსოფლიო ჩემპიონის მაღალი ტიტული. ერთი სიტყვით, რონალდინიოს ამ სუპერვარსკვლავებთან შედარება მეტისმეტად ნაადრევია. ვისი ბრალია თუ დღესდღეობით ცრუ მოძრაობებით გაჯერებულ ფეხბურთის „ბარსელონას" ლიდერის გარდა არავინ თამაშობს? რონის მომავალი წინ აქვს. ის ჯერჯერობით არც **მიშა მესხია** და არც **სლავა მეტრეველი**. მან თავი უნდა გამოიჩინოს 2006 წელს გერმანიაში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც მისმა თანამემამულეებმა მეექვსედ უნდა მოიპოვონ ოქროს მედალი, რაც დამეთანხმებით მეტისმეტად ძნელი იქნება.

**შალვა ძირია**

# ბრაზილიური პოტენცია და რონალდოს მოტივაცია

**რონალდოს** სანაკრებო კარიერა სათავეს 1994 წლიდან იღებს. იგი **კარლოს ალბერტო პარეირამ**, იმავე წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამართ მსოფლიოს მე-15 ჩემპიონატზე წასაყვან ფეხბურთელთა განაცხადში შეიყვანა და მიუხედავად იმისა, რომ იმ ჩემპიონატზე რონალდო მოედანზე არ გამოჩენილა, ბრაზილია 24-წლიანი პაუზის შემდეგ **რომარიოს** ლიდერობით მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და 18 წლის რონალდომაც პირველად დაიჭირა ხელში საუკეთესოებისთვის განკუთვნილი ჟიულ რიმეს ოქროს თასი. ამის მერე დაიწყო რონალდოს მრავალწლიანი მარათონული ბენეფისი ნაკრებში, რაც დღემდე წარმატებით გრძელდება. ასევე დიდი ხნის პაუზის შემდეგ, 1997 წელს ბრაზილიამ მოიგო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი „კოპა ამერიკა", რაც ვერ შეძლეს **პელეს, გარინჩას, დიდის, ვავას** თაობამ, ვერც **ზიკოსა** და **სოკრატესის** პლეადამ. ეს შეძლო რონალდოს ბრაზილიის ნაკრებმა. იმ პერიოდში ყველასთვის შეუჩერებელი იყო რონალდო — რომარიოს დუეტი, რომელთაც ხალხმა „რო-რო" შეარქვა. ეგრეთწოდებული „რო-რო" სამხრეთ ამერიკის იმ ჩემპიონატზეც დომინირებდა და სწორედ ეს გახდა ბრაზილიელთა გამარჯვების ერთ-ერთი უპირველესი საწინდარი. იმ დროისთვის მსოფლიოს ოთხგზის და სამხრეთ ამერიკის ასევე ოთხგზის გამარჯვებული ბრაზილიელები კოპა ამერიკის ფინალში მასპინძლებს ბოლივიის ნაკრებს შეხვდნენ. ფინალი ბოლივიის დედაქალაქში ლა-პასში ჩატარდა, სადაც რთული კლიმატური პირობების გამო ჰავასთან შეგუება ძალიან ჭირს. ამის მიუხედავად, ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს მასპინძლები 3-1. გოლების ავტორებად ბრაზილიელთა მხრიდან რონალდოსთან ერთად **ზე რობერტო** და **დენილსონი** მოგვევლინენ. შემდეგ, როგორც მოქმედმა ჩემპიონმა და კონტინენტის გამარჯვებულმა, ბრაზილიის ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო კონფედერაციის თასის გათამაშებაში და, როგორც იტყვიან, ტურნირი ერთი ამოსუნთქვით მოიგო. კვლავ შეუდარებელი იყო რონალდო — რომარიოს წყვილი. ფინალში ფეხბურთის ჯადოქრებმა ავსტრალიელებს ექვსი უპასუხო ბურთი გაუტანეს, აქედან სამი გოლი რომარიოს ანგარიშზეა, სამიც რონალდომ ჩაიწერა თავის აქტივში.

დადგა 1998 წელი და საფრანგეთში დაიწყო რიგით მე-16 მსოფლიოს ჩემპიონატი. საფრანგეთის მინდვრებზე რონალდო შესანიშნავად თამაშობდა. მან გაიტანა მნიშვნელოვანი გოლები და გააკეთა მახვილგონივრული საგოლე გადაცემები. ის საუკეთესო იყო მთელი ჩემპიონატის განმავლობაში და მონდიალის დამთავრების შემდეგ ფიფამ დაასახელა კიდეც ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ. რონალდომ და მთლიანად ბრაზილიის ნაკრებმა ერთი თამაში ჩააგდო და ეს ფინალში ტურნირის მასპინძელთან — საფრანგეთის ნაკრებთან მოხდა, როდესაც სელესაო დამარცხდა 0-3.

მაგრამ ერთ წელიწადში ბრაზილიამ რონალდოს დახმარებით კვლავ მოიგო დიდი ტურნირი და ეს კვლავ „კოპა ამერიკა" იყო. 1999 წლის სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე ლეგენდარული მარიო **ლობო ზაგალოს** შემცვლელის **ვანდერლეი ლუშემბურგოს** ხელმძღვანელობით ბრაზილიის ეროვნულმა გუნდმა გადამწყვეტ მატჩში ლათინური საფეხბურთო სკოლის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ურუგვაის ნაკრები შეიწირა. 3-0 — ასეთი ანგარიშით დამთავრდა ფინალი, სადაც რონალდოს ერთ გატანილ გოლს, ორი გოლი კიდევ ერთმა ბრაზილიელმა ლიდერმა **რივალდომ** დაამატა. შემდგომ დადგა ის პერიოდი, როდესაც რონალდო უმძიმესად დაიმტვრა და მის გარეშე დარჩენილ ბრაზილიის ნაკრებს სამ დიდ ტურნირში ხელი მოეცარა, ეს ტურნირები „კოპა ამერიკა" და ორი კონფედერაციის თასი იყო. ფენომენის გარეშე სელესაომ დიდი გაჭირვებით გადალახა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი და მხოლოდ ბოლო ტურში შეძლო მონდიალის საგზურის მოპოვება. და აი, დადგა მსოფლიოს რიგით მე-17 ჩემპიონატის დროც და სამხრეთ კორეასა და იაპონიაში გასამართი დიდი საფეხბურთო ბატალიების წინ რონალდო დიდ ფეხბურთში დაბრუნდა და ბრაზილიელთა მთავარმა მწვრთნელმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** იგი ნაკრებში იხმო. ამ მონდიალამდე მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრები გახდა, რომელმაც ყველა თამაში ძირითად დროში მოიგო მხოლოდ ერთხელ და ეს შორეულ, 1970 წელს მოხდა, და მაშინაც ეს ფანტასტიკური შედეგი ბრაზილიის ნაკრებმა დააფიქსირა. მაგრამ იმდროინდელი გათამაშების სისტემისთვის მსოფლიოს კვარცხლბეკზე ასასვლელად ექვსი გათამაშების გამართვა იყო საჭირო. იმ ლეგენდარულ და დიად გუნდში ბრწყინავდნენ **პელე, კარლოს ალბერტო, გერსონი, რიველინო** და მომავალი ფენომენის აღმომჩენი **ჟაირზინიო**. ახლა კი ბრაზილიური ფეხბურთის სიდიადე ახალ ვარსკვლავებს უნდა დაემტკიცებინათ და ასეთები სკოლარის განკარგულებაში იყვნენ: **კაფუ, რობერტო კარლოსი, ლუსიო, რივალდო** და **რონალდინიო**, რომლებსაც რონალდოც დაემატათ. ბრაზილიის ნაკრებმა სამხრეთ კორეასა და იაპონიაში შვიდი თამაში ძირითად დროში მოიგო და მონდიალების ისტორიაში გახდა საუკეთესო შედეგის მაჩვენებელი გუნდი. ყვითელი არმიის „ლიდერობა" კი რონალდომ გასწია, გაიტანა 8 გოლი და გახდა ჩემპიონატის ერთპიროვნული საუკეთესო ბომბარდირი. ნახევარფინალი და ფინალი ხომ „მთლად" მის ბენეფისად იქცა. ფინალში მსოფლიოს ჩემპიონატებზე მანამდე არასდროს შეხვედრილი პლანეტის ორი ყველაზე ტიტულოვანი ნაკრები დაეჯახა ერთმანეთს.



ბრაზილიისა და გერმანიის ნაკრებებს შორის გადამწყვეტ მატჩს უნდა გაერკვია მსოფლიოში უძლიერესის ვინაობა და ფინალამდე მთელი შეჯიბრების მანძილზე მხოლოდ ერთი ბურთის გამშვებ გერმანელთა მეკარეს, საუკეთესო ფეხბურთელს და კაპიტანს, **ოლივერ კანს** რონალდომ ორი გოლი გაუტანა, ბრაზილიის ნაკრები მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი გახადა და წინა მონდიალიდან გამოყოლილი „ზამასკა" მოიხსნა. ის დაბრუნდა და ფეხბურთში კვლავ დაიწყო ახალი ერა, რონალდოს ერა... ფენომენი „ინტერისგან" უმალ მადრიდის „რეალმა" შეიძინა. რონალდომ „რეალში" გადასვლისთანავე იოკოჰამაში მსოფლიოს საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. სამეფო კლუბმა კოპა ლიბერტადორესის გამარჯვებული პარაგვაის „ოლიმპია" ზუსტად იმ სტადიონზე დაამარცხა, სადაც სულ რამდენიმე თვის წინ ბრაზილიამ მეხუთედ იზეიმა მსოფლიოს ჩემპიონობა. „რეალმა" 2-0 მოიგო, პირველი გოლი რონალდომ გაიტანა და იმ დღიდან იოკოჰამას „ინტერნეიშენალის" დიდებულ არენას რონალდოს სახელი ეწოდა. იგი მესამედ აღიარეს პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად და მეორედ გადასცეს ოქროს ბურთი. შემდგომ ის „რეალთან" ერთად გახდა ესპანეთის ჩემპიონი, ასევე ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი. ამასობაში პარეირამ ბრაზილიის ნაკრები ექსპერიმენტული შემადგენლობით ათამაშა ორ ტურნირში: „კოპა ამერიკაზე" და კონფედერაციის თასზე, სადაც რონალდოს მონაწილეობა არ მიუღია. ბრაზილიამ ორივე ტურნირი მოიგო და ამ ორი შეჯიბრების ფინალებში „პენტაკამპეონებმა" თავიანთი „მოსისხლე მტერი" არგენტინელები გაამწარეს. სელესაოს დიდ შესაძლებლობებზე ეს ფაქტიც კარგად მეტყველებს. ამ ორ ტურნირში ბრაზილიელთა ლიდერად **ადრიანო** მოგვევლინა. ბრაზილიამ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი სამხრეთ ამერიკის ზონის ათგუნდიან ჯგუფშიც ჩამოიტოვა არგენტინა და პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო შესარჩევი ეტაპის საუკეთესო ბომბარდირი ათი გატანილი გოლით რონალდო გახდა. აქედან სამი გოლი მან სწორედ არგენტინელებს გაუტანა. მაგრამ ფენომენს ბოლო ორი წლის განმავლობაში გუნდური ჯილდო არ მოუგია. მის ფანტასტიკურ კოლექციას მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის მოგება აკლია. სურვილის ასრულებას ის ამ გათამაშებაში აპირებს. შემდეგ კი დაიწყება ბრაზილიელისთვის რიგით მეოთხე მონდიალი. მას მსოფლიოს პირველობაზე მინიმუმ სამი გოლის გატანა ჰყოფნის, რათა ლეგენდარული **გერდ მიულერის** 12-გოლიან ზღურბლს გადააბიჯოს, და მსოფლიო ჩემპიონატების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს. წესით, მისი დონის თავდამსხმელს ეს არ უნდა გაუჭირდეს. და თუ ამას „რეალთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება დაემატება და ბრაზილიის ნაკრების კიდევ ერთი გაჩემპიონება, მაშინ ყველაფერ ამას 99 პროცენტით რონალდოს პლანეტის საუკეთესო მოთამაშედ კიდევ ერთხელ დასახელება და ოქროს ბურთით დაჯილდოება უნდა მოჰყვეს და ასეთ შემთხვევაში ამდენი ტიტულის, როგორც გუნდურის, ასევე ინდივიდუალურის დაუფლებას, ალბათ, ძალიან, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ მოახერხებს. ეს ყველაფერი იცის ფენომენმა, ის მოტივირებულია და 2006 წელს ბრაზილიურ პოტენციას შერწყმული რონალდოს მოტივაცია „კარგს არაფერს ჰპირდება" დანარჩენ საფეხბურთო სამყაროს.

**ტატო კინწურაშვილი**

(დადასრული. დასაწ. იხ. „ლელო" №98)

# ყურადღება!

**2006 წელს 100 წელი უსრულდება კავკასიაში უძველეს საფეხბურთო გუნდს — „შევარდენი 1906". პირველად სწორედ 1906 წელს გახდა „შევარდენი" უძლიერესი თბილისის გუნდებს შორის. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი კი თბილისის „შევარდენის" სტადიონზე სწორედ „შევარდენი 1906"-ის მონაწილეობით გაიხსნა. დღეს, სამწუხაროდ, ეს კლუბი აღარ არსებობს, არადა, როგორც ვთქვით, გაისად 100 წელი უსრულდება. „ლელო" გამოდის თაოსნობით აღდგეს „შევარდენი" და როგორც დიდი წინაპრის სამართალმემკვიდრე ჩაერთოს საქართველოს ჩემპიონატის ნებისმიერ ლიგაში, რათა მოგვეცეს საშუალება ღირსეულად აღვნიშნოთ საუკუნოვანი იუბილე. ამ საკითხთან დაკავშირებით, ვთხოვთ ყველას, ვისაც გულთან ახლოს მიაქვს ქართული ფეხბურთის წარსული და მომავალი, შობრძანდეს „ლელოს" რედაქციაში (კოსტავას, 14) ხვალ, 21 დეკემბერს, 16 საათზე. იმედია, გვეწვევიან „შევარდენის" ვეტერანი ფეხბურთელები და იმ კლუბების წარმომადგენლებიც, ვისაც აქვს სურვილი გახდეს იუბილარი საფეხბურთო კლუბის მემკვიდრე.**

# დებიუტანტი

**ბექა პეტრიაშვილი**
**(თავისუფალი ჭიდაობა)**



**დაიბადა** 1992 წლის 18 ივნისს, საგარეჯოში
**სიმაღლე:** 145 სმ
**წონა:** 42 კგ.
**სწავლობს** საგარეჯოს №I საშუალო სკოლის VIII კლასში
**2002 წლიდან** ვარჯიშობს თავისუფალ ჭიდაობაში რამაზ ასაბაშვილთან და ზაზა ლაფერიშვილთან
**ასაკობრივი** ნაკრების კანდიდატი
**გურამ საღარაძის** სახელობის ტურნირის გამარჯვებული, ამასთან, დაიმსახურა სპეციალური პრიზი ლამაზი ჭიდაობისთვის.
**საქართველოს** სამგზის პრიზიორი თავის ასაკში
**ყვარელში** ფერიაშვილის სახელობის ტურნირის გამარჯვებული.

**ნინო ძვლივიძე**

# ფეხბურთი მედიცინის მუშაკთათვის

საქართველოს სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირმა (თავმჯდომარე **იროდი ბეჟაშვილი**) მედიცინის მუშაკთა შორის დამოუკიდებელი საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის პირველი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის ხსოვნის თასი გაათამაშა მინიფეხბურთში.

პირველობა წილად ხვდა სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდს, მეორე იყო თბილისის №1 საავადმყოფოს წარმომადგენლები, მესამე — სასწრაფო დახმარება 03-ის ნაკრები.

სასწრაფო დახმარება 03-ის გუნდში თამაშობდნენ ალექსანდრე ხელაია, ბესო კვანტალიანი, ლევან ბოკელავაძე, ნუგზარ ფოცხიშვილი, ლევან დონაძე, თეიმურაზ კაკუბავა, გიორგი გიგინეიშვილი, ზურაბ ხუციშვილი, გიორგი დევნოზაშვილი, ალბერტ ლომიძე.

**ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა.**





# უეფამ ადგილი მიგვიჩინა, კლუბები კი ემზადებიან

ევროპულ საფეხბურთო სარბიელზე ჩვენი კლუბები კარგა ხანია წარმატებით ვერ დაიკვეხნიან, უეფაც მისეული საზომით გვიზომავს მოკრძალებულ მიღწევებს და ყოველწლიურ რეიტინგში შესაფერისი ადგილიც მიგვიჩინა.

რეიტინგი ბოლო ხუთი სეზონის (2001-2006წ.წ.) განმავლობაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით დგება. ქართული კლუბების კოეფიციენტი წლევანდელ სეზონში 0.667-ის, ხოლო ხუთი წლის განმავლობაში 6.333-ის ტოლია. ამ მაჩვენებლებით ჩვენი საკლუბო ფეხბურთი რეიტინგში 34-ე ადგილზეა.

ევროპა ევროპად და ქართული კლუბები საგაისო სეზონისთვის მზადებას ნელ-ნელა შეუდგნენ. ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტი თბილისის „ამერი“ შინაური შეკრების შემდეგ ერთ თვეში, 25 იანვრიდან 4 თებერვლამდე, ანტალიის საერთაშორისო ტურნირში ისპარეზებს. თორმეტი გუნდი სამ ჯგუფში განაწილდა. მესამე ჯგუფში „ამერის“ მეტოქეები, თანმიმდევრობით იქნებიან: 26 იანვარს — „ბასკი“ (სერბეთი), 29 იანვარს — „ნეფთჩი“ (აზერბაიჯანი) და 31 იანვარს — „დაუგე“ (კორეა). ნახევარფინალში ჯგუფების სამი გამარჯვებული და საუკეთესო მეორეადგილოსანი გუნდი გადის. ნახევარფინალური მატჩები 2 თებერვალს, შეხვედრა მესამე ადგილისთვის და ფინალი 4 თებერვალს გაიმართება.

შედარებით ხელმოკლე გუნდები კი მხოლოდ შინ ემზადებიან და მოძალებული მატერიალურ-ფინანსური პრობლემების მოგვარებას, ფაქტობრივად, საკუთარი ძალებით ცდილობენ. სიდუხჭირის გამო წამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს კლუბი „ცხინვალი“. გუნდიდან წავიდნენ **ზაზა ქობესაშვილი, პაატა გამცემლიძე, დავით დათვაძე, გიზო შენგელია** და **პაატა ბაკარაძე**. გამოცდილი ფეხბურთელებიდან ცხინვალელთა რიგებს სულ სამი შემორჩა: **გიორიგი ლომიძე, რამაზ სოლოლაშვილი და დავით მაისურაძე**. გუნდი ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტდება, რომლებიც ჭაბუკთა ლიგაში ასპარეზობენ, რაც ეროვნული პირველობის დებიუტანტს, ალბათ, შესამჩნევად შეასუსტებს. ანალოგიური პრობლემები აწუხებთ სოხუმელებს. „დინამო“ კვირას შეიკრიბა და თუ რა ვითარებაა ამჟამად გუნდში, მალევე გაცხადდება.

ჩამოთვლილ გუნდებზე ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია „ზესტაფონი“. გუნდი გუშინ შეიკრიბა და სეზონისთვის მზადებასაც შეუდგა. თუ ვინ წავა ან მოვა, კლუბში ამაზე ,ამდენიმე ხანში იმსჯელებენ. ალბათ, კლუბს დატოვებს მოლდოველი ლეგიონერი **სერგეი ნუდნი**. გამორიცხული არაა მზადების პროცესში გუნდმა სერიოზული შევსებაც მიიღოს და საზღვარგარეთულ შეკრებაზეც გაემგზავროს.

# რკინიგზელები ბათუმში

ბათუმის „დინამოს“ მესვეურებმა თბილისის „ლოკომოტივის“ რამდენიმე ფეხბურთელი გადაიბირეს. მიხეილ მახვილაძეს და როინ ონიანს ახლა გიორგი ონიანიც შეუერთდა. ბათუმში შეიძლება კიდევ რამდენიმე ყოფილი რკინიგზელი ფეხბურთელი გადავიდეს. ზღვისპირელებს სოხუმელი გიგა ყვანიასა და თენგიზ უგრეხელიძის დამატებაც სურთ.

როგორც ჩანს, ბათუმის „დინამო“ სეზონისთვის სერიოზულად ემზადება და ჩემპიონატის მეორე წრეში ბათუმელთა გუნდი ყველასათვის ანგარიშგასაწევი იქნება.

# მეორე შანსი — სრეჩკო კატანეცი გადაიდო

## სქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცის ძიების ძნელი და შრომატევადი პროცესი კვლავ მიმდინარეობს



ერთი კვირის წინ, თბილისს გერმანელი კლაუს ტოპმიოლერი სტუმრობდა. სტუმართმოყვარე მასპინძლებს მან, თავისი სათქმელი უთხრა და შრომის საფასურიც შესაფერისი მოითხოვა. ახლა ჯერი სფფ-ს მესვეურებზე და სამთავრობო სტრუქტურებზეა. მათი შეთანხმებული მოქმედებით ეგებ გერმანელი საბოლოოდ დავიყოლიოთ და ნაკრებიც ჩავაბაროთ. ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები ცდილობენ ტოპმიოლერს წლის ბოლომდე, კონკრეტულად, 2[illegible] დეკემბრამდე მოელაპარაკონ. ხელშეკრულების ახალ პირობებზე სფფ-ს პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ტოპმიოლერს თავად მოელაპარაკება, როდესაც მას გერმანიაში ეწვევა რამდენიმე დღეში. ჩვენებურები გერმანელს საპრემიო თანხის გაზრდას ხელფასის შემცირების ხარჯზე სთავაზობენ, რა თქმა უნდა, არის სხვა წინადადებებიც. ვნახოთ, რას გვიპასუხებს კლაუსი. ამასობაში, სფფ გულხელდაკრეფილი არ არის და მწვრთნელის მეორე ვარიანტსაც განიხილავს.

გუშინ, თბილისში საფეხბურთო აგენტ თურქ ბაირამ თუთუმლუსთან ერთად, თბილისში უნდა ჩამოსულიყო სლოვენიელი სრეჩკო კატანეცი, რომელიც ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელობის მეორე კანდიდატია. ორმოცდაორი წლის სლოვენიელი მწვრთნელი გერმანელზე ახალგაზრდაა, სლოვენიის ეროვნულ ნაკრებში მუშაობდა წლების განმავლობაში და მშობლიური გუნდი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზეც გაიყვანა. მას უკვე აქვს ნაკრებში მუშაობის კარგი გამოცდილება და ეს სულაც არ არის უმნიშვნელო ფაქტორი. იმედია, მისი მოთხოვნები გერმანელ სპეციალისტზე გაცილებით ნაკლები მასშტაბის და ჩვენთვის ხელმისაწვდომი იქნება. მწვრთნელის მოწვევის მეორე შანსიც უნდა გამოვიყენოთ, ყოველ შემთხვევაში, გასაუბრებას და მოლაპარაკებას, ერთმანეთის აზრის გაგებას ხელს ალბათ, არაფერი შეუშლის. კატანეციც გაეცნობა ქართული ფეხბურთის ყოფას, გარემოს და პირობებს, სადაც შეთანხმების შემთხვევაში, ცხოვრება და მუშაობა მოუწევს. ისიც თავისას იტყვის და მორიგდება თუ არა ქართველ მასპინძლებთან, მოლაპარაკების მსვლელობა გვიჩვენებს.

ახლა სჯა-ბაასის და განსჯის დროა. ვნახოთ, თეთრი და ცივი ზამთარი ქართულ ფეხბურთს გერმანულად თუ სლოვენიურად გაუფერადდება და გაუთბება.

მაგრამ ზემოთქმულის განხორციელება გაურკვეველი ვადით, ალბათ, თვის ბოლოსთვის გადაიდო. სლოვენიელი თურქი აგენტით გუშინ, პირადი საქმეების გამო, თბილისში არ ჩამოვიდა. ახალი ინფორმაციით, კატანეცის ვიზიტი საქართველოში, სავარაუდოდ, 26 დეკემბრისთვის დაიგეგმა.

# ყრილობები, სხდომები, თათბირები...

წელიწადი მთავრდება და ქართული ფეხბურთის თითოეული სტრუქტურა ხელმძღვანელობას და საზოგადოებრიობას განვლილი სეზონის და შესრულებული სამუშაოს ანგარიშს აბარებს. დღეს, 20 დეკემბერს, სფფ-ს საქტო დარბაზი ლიცენზირების კომიტეტს დაეთმობა. სხდომაზე მიწვეულია კომიტეტის წევრები და ექსპერტები, ისინი, კიდევ ერთხელ იმსჯელებენ სალიცენზიო სეზონის საჭირბოროტო საკითხებზე, განიხილავენ კლუბებში არსებულ მდგომარეობას, აღნიშნავენ ხარვეზებს, ილაპარაკებენ დადებით ასპექტებზე და პერსპექტივებზე. თვის ბოლოს, სფფ-ს კლუბების ლიცენზირების კომიტეტს ფირმა GSG-ის აუდიტი **ალექსანდრე ანდრეიჩენკო** ესტუმრება და ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში ლიცენზირების სისტემის ფუნქციონირებას შეამოწმებს.

ხვალ, 21 დეკემბერს, სხდომათა დარბაზს ფეხბურთის მუშაკთა პროფესიული კავშირის საანგარიშო-საარჩევნო V ყრილობის დელეგატები შეავსებენ. ყრილობის დღის წესრიგი საკმაოდ დატვირთული და ყოვლის მომცველია. მოისმენენ საანგარიშო პერიოდში ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ანგარიშს, ცვლილებებს და დამატებებს შეიტანენ კავშირის წესდებაში, აირჩევენ ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს, საბჭოს გამგეობის და საკონტროლო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობას.

ზეგ, 22 დეკემბერს, წლეულს, ბოლო სხდომას გამართავს სფფ-ს აღმასკომი. ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები იმსჯელებენ საქართველოს XVII ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის და დავით ყიფიანის სახელობის თასის XVI გათამაშების შესახებ, განიხილავენ საორგანიზაციო და სხვადასხვა საკითხებს.

# თასი ძალოვნებმა მოიპოვეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ნარკომანიას ფეხბურთითაც ებრძვის. კვირას დასრულდა სოლოლაკის ხელოვნურსაფარიან მოედანზე მიმდინარე რვაგუნდიანი ტურნირი მინიფეხბურთში, რომელიც დევიზით — **„ახალი წელი ნარკოტიკების გარეშე“** — ჩატარდა. ტურნირს, რომელიც პირველად გაიმართა, ღირსეული გამარჯვებული ჰყავს. შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდმა მეტოქეები პირწმინდად დაჯაბნა და მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატისგან, პარლამენტარ **გიგი წერეთელისგან** ჩემპიონის თასი სამართლიანად მიიღო. შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდმა ნახევარფინალში „ვინდფორსი“ (სარეკლამო სააგენტო) 7-4, ხოლო ფინალში „სპორტმედია — ავტოგაზი“ 7-3 დაამარცხა. თავის მხრივ სპორტულმა ჟურნალისტებმა ნახევარფინალში ნაციონალებს 4-2 მოუგეს. ტურნირის მთავარ თასთან ერთად დაწესებული პრიზების უმეტესობაც გამარჯვებული გუნდის ფეხბურთელებს გადაეცათ. საუკეთესო ფეხბურთელისა — **გიორგი მუშკუდიანს** (შსს), ბომბარდირისა (9 გოლი) — **ლევან გვაზავას** (შსს), მეკარისა კი ტელეჟურნალისტთა გუნდის გოლკიპერს **არჩილ ღურწკაიას.** საუკეთესო ფეხბურთელს სფფ-სგან გადაეცა ეროვნული ნაკრების ფორმა, ბომბარდირს, ასევე სფფ-სგან ბურთი, ხოლო მეკარეს — ნაკრების კარის დარაჯის ეკიპირება. ორიგინალური პრიზი — ქართულად მომღერალი თოვლის ბაბუა სარეკლამო სააგენტო „ვინტფორსისგან“ მიიღო საუკეთესო გოლის გამტანმა **გოდერძი ნატროშვილმა.** თავგანწირული ფეხბურთელის პრიზი — ჟურნალ „ანაბეჭდის“ ექვსი თვით უფასოდ მიღების უფლება, მოიპოვა ფეხბურთის ფედერაციის გუნდის მეკარემ **ზაზა რუხაძემ.**





შეჯიბრების ორგანიზატორთა თქმით, ტურნირი მომავალში შეიძლება ტრადიციული გახდეს. დასრულებულ ასპარეზობას სპონსორობა გაუწიეს ფირმებმა და კომპანიებმა — „ავტოგაზმა“, „ტელენეტმა“, „თელიანი ველმა“, „ცენტრპოინტმა“, „ვინდფორსმა“ და ჟურნალმა „ანაბეჭდმა“.

**სურათებზე:** ზემოთ - გამარჯვებულ შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდს საპატიო თასს გადასცემს პარლამენტარი გიგი წერეთელი; ქვემოთ — გამარჯვებული გუნდი.

**ფოტოები ელდარ მალხაზიშვილისა.**

# ბავშვთა ფეხბურთი

## მეგრულ-იმერული შესარჩევი

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სპეციალისტებთან ერთად აგრძელებს 1990 და 1991 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა შორის ტალანტების მოძიებას.**

15-16 დეკემბერს სენაკსა და ქუთაისში სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონალური ნაკრები გუნდების საჩვენებელი ოთხი მატჩი გაიმართა, რომელსაც სფფ-ს წარმომადგენლები — ბავშვთა ფეხბურთის უფროსი მენეჯერი **ავთანდილ შალამბერიძე**, მწვრთნელები: **ლევან მელიქია** და **ვახტანგ კოპალეიშვილი** დაესწრნენ. თბილისში, სენაკში, ქუთაისში შერჩევის პროცესში 200-ზე მეტი ბავშვის საფეხბურთო ოსტატობა შემოწმდა. რამდენიმე დღეში დაგეგმილია ანალოგიური ღონისძიების ჩატარება კახეთის რეგიონში. კონკრეტულად, თელავში. რაც შეეხება სენაკსა და ქუთაისში გამართულ შეხვედრებს, ისინი სამეგრელოს ნაკრების უპირატესობით წარიმართა.

**სენაკი. ცენტრალური სტადიონი. 15 დეკემბერი**

სამეგრელო — იმერეთი (90 წ) 1-0,
სამეგრელო — იმერეთი (91 წ) 3-1

**ქუთაისი. ს.კ. „ტორპედოს“ საწვრთნელი ბაზა. 16 დეკემბერი**

იმერეთი — სამეგრელო (90 წ) 2-2,
იმერეთი — სამეგრელო (91 წ) 1-3

შემდგომში, გამორჩეულ ბავშვთა შერჩევა გაზაფხულზე ჩატარდება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

## საქართველოს ჩემპიონატი ფუტსალში

**II წრე, IX ტური**

ცენტრპოინტი — ნიკორა 5-7
სოხუმი — ქართლი (გადაიდო)
იმედი — ბერმუხა 4-4
საბურთალო — იბერია 2-2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცენტრპოინტი | 9 | 8 | 0 | 1 | 70-37 | 24 |
| საბურთალო | 9 | 6 | 2 | 1 | 65-31 | 20 |
| იბერია | 9 | 6 | 2 | 1 | 48-32 | 20 |
| ნიკორა | 9 | 6 | 0 | 3 | 42-37 | 18 |
| აჭარა | 8 | 3 | 1 | 4 | 38-41 | 10 |
| ბერმუხა | 9 | 2 | 2 | 5 | 43-61 | 8 |
| იმედი | 9 | 2 | 1 | 6 | 46-54 | 7 |
| ქართლი | 8 | 1 | 1 | 6 | 31-53 | 4 |
| სოხუმი | 8 | 0 | 1 | 7 | 41-85 | 1 |

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## აბრამოვიჩის „ჩელსი" სრული სვლით „სამეფო კლუბს" კი უჭირს

გასულ შაბათ – კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის შეხვედრები.

ინგლისის პრემიერლიგის მე-17 ტურში ლონდონში შედგა ცენტრალური დაპირისპირება „არსენალსა" და „ჩელსის" შორის. რომან აბრამოვიჩის გუნდმა ბრწყინვალედ ისპარეზა და დამსახურებულად გაიმარჯვა 2-0. ანგარიში რობენმა გახსნა 39-ე წუთზე. მეორე ნახევარში კი ჯო კოულმა გამოიჩინა თავი.

გუნდების შემადგენლობა:

„არსენალი": ლემანი, კემპბელი, კოლო ტურე, ლორენი, სენდეროსი, ფაბრეგასი, ფლამინი, გლები (პირესი, 70), იუნგბერგი (ბერხკამპი, 70), ვან პერსი



(ოვუსუ — ობეიე, 82), ანრი.

„ჩელსი": ჩეხი, გალასი, ფარეირა, კარვალიუ, ტერი, ჯო კოული, ესიენი, ლემპარდი, მაკელელე, დროგბა (ჰუტი, 88), რობენი (ქერემი, 77).

„მანჩესტერ იუნაიტედმა" სტუმრად 2-0 სძლია „ასტონ ვილას". ბურთები გაიტანეს ვან ნისტელროიმ და რუნიმ.

„მანჩესტერ იუნაიტედი": ვან დერ საარი, ფერდინანდი, ბრაუნი, ნევილი, ოში, სქოულზი, ფლეტჩერი, პარკი, გიგზი (რონალდუ, 62), რუნი, ვან ნისტელროოი.

ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნი" სტუმრად დამარცხდა „ფულემთან" — 1-2. ქართველმა მცველმა 90 წუთი დაჰყო მოედანზე.

სხვა შეხვედრები: „მიდლსბრო" — „ტოტენჰემი" 3-3, „ევერტონი" — „ბოლტონი" 0-4, „პორტსმუთი" — „ვესტ ბრომვიჩი" 1-0, „ვესტ ჰემი" — „ნიუკასლი" 2-4, „უიგანი" — „ჩარლტონი" 3-0, „მანჩესტერ სიტი" — „ბირმინგემი" 4-1.

სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩელსი" | 17 | 15 | 1 | 1 | 37-7 | 46 |
| „მანჩ. იუნ." | 17 | 11 | 4 | 2 | 31-14 | 37 |
| „ლივერპული" | 15 | 9 | 4 | 2 | 20-8 | 31 |
| „ტოტენჰემი" | 17 | 8 | 7 | 2 | 25-16 | 31 |
| „ბოლტონი" | 16 | 9 | 3 | 4 | 22-14 | 30 |

გერმანიის ბუნდესლიგაში პირველი წრე დასრულდა. ერთპიროვნულმა ლიდერმა მიუნხენის „ბაიერნმა" სტუმრად 2-1 სძლია „დორტმუნდს" — ანგარიში კარიმიმ გახსნა 52-ე წუთზე. 20 წუთში პისარომ მეორედ აიღო მასპინძელთა კარი. დარჩენილ დროში კრინგემ ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა.

„ბაიერნი": კანი, ისმაელი, ლუსიო, სანიოლი, ლიზარაზუ, დემიკელისი (ოტლი, 38), ჰარგრივზი (შვაინშტაიგერი, 62), ზე რობერტო, კარიმი (იერემიესი, 89), პისარო, მაკაი.

ლევან კობიაშვილის „შალკე" სტუმრად 0-2 დამარცხდა „შტუტგარტთან". გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს გომესმა და ლიუბოიამ.

გუნდების შემადგენლობა:

„შტუტგარტი": ჰილდებრანდი, მეირა, დელპიერი, შტრანცლი, მანინი, სოლდო, მაისნერი (გენტნერი, 62), ჰიტცლშპერგერი, ტიფერტი, ლიუიბოია (კარევიჩი, 90), გომესი (შტრელერი, 83).

„შალკე": როსტი, კრსტაიჩი, რაფინია, როდრიგესი, ბაირამოვიჩი, პოულსენი, ერნსტი, ვარელა(სანდი, 69), ლინკოლნი, ასამოა (ლარსენი, 69), კურანი.

ფრედ 1-1 დასრულდა შეხვედრა „ვერდერსა" და „ჰამბურგს" შორის. ბრემენელები პირველი ნახევრის შემდეგ მიკუს გოლით იგებდნენ თამაშს 1-0, მაგრამ მეორე ნახევარში კუკუკოვიჩმა წონასწორობა აღადგინა.

ამ შეხვედრაში "ვერდერი" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რაინკე, ანდრეასენი, ნალდო, ოვომიულა, პასანენი, ბაუმანი, ფრინგსი, მიკუ, ვრანიეში, ვალდესი (კლასნიჩი 70), კლოზე.

ლევან ცქიტიშვილის „ვოლფსბურგი" სტუმრად 2-3 დამარცხდა „კაიზერსლაუტერთან". ქართველმა ფეხბურთელმა 90 წუთი ითამაშა.

სხვა შეხვედრები: „ჰერტა" — „ნიურნბერგი 1-1, „მიუნხენგლადბახი" — „აინტრახტი" 4-3, „მაინცი" — „დუისბურგი" 1-1, „ლევერკუზენი" — „ჰანოვერი" 0-0, „არმინია" — „კიოლნი" 3-2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 17 | 14 | 2 | 1 | 35-12 | 44 |
| „ჰამბურგი" | 17 | 11 | 5 | 1 | 28-9 | 38 |
| „ვერდერი" | 17 | 11 | 3 | 3 | 46-21 | 36 |
| „შალკე" | 17 | 8 | 7 | 2 | 20-12 | 31 |
| „ჰერტა" | 17 | 7 | 5 | 5 | 27-25 | 26 |

ესპანეთის პრიმერადივიზიონის მე-16 ტურში „ბარსელონამ" კიდევ უფრო გაზარდა სხვაობა მდევრებთან. ფრანკ რაიკაარდის გუნდმა სტუმრად 3-1 სძლია „კადისს". გამარჯვებულთაგან ორი ბურთი ეტო'ომ გაიტანა, ერთი — ჟიულიმ.

„ბარსელონა" ვალდესი, ედმილსონი მარკესი, ოლეგერი, პუიოლი, დეკუ, ჟიული (ლარსონი, 65), ინიესტა (მოტა 75), მესი (ესკუერო, 82), ვან ბრონკჰორსტი, ეტო'ო.

მადრიდის „რეალმა" ვერ შეძლო საკუთარ მოედანზე „ოსასუნას" დამარცხება — 1-1. საინტერესოა, რომ სტუმრები 76-ე წუთზე მილოშევიჩის ბურთით დაწინაურდნენ. ქაოსურად მოთამაშე „სამეფო კლუბმა" ანგარიშის გათანაბრებაც ძლივს მოახერხა (თავი სოლდადომ გამოიჩინა). მატჩი უხეშობით გამოირჩეოდა — მსაჯმა 13 (!) ყვითელი ბარათი უჩვენა ფეხბურთელებს.

„რეალი": კასილიასი, რობერტო კარლოსი, ელგერა, პავონი (გარსია, 72), სალგადო, ბექჰემი, სერხიო, რობინიო (ზიდანი, 61), ბაპტისტა (სოლდადო, 76), გუტი, რონალდო.

სხვა შეხვედრები: „ვილიარეალი" — „ხეტაფე" 2-1, „სევილია" — „რეალ სოსიედადი" 3-2, „რასინგი" — „მალაგა" 1-1, „ესპანიოლი" — „სარაგოსა" 2-2, „ალავესი" — „ვალენსია" 0-1, „მალიორკა" — „ატლეტიკო" 2-2. „სელტა" — „დეპორტივო" 0-3. „ბილბაო" — „ბეტისი" 2-0.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა" | 16 | 11 | 4 | 1 | 41-14 | 37 |
| „ოსასუნა" | 16 | 11 | 2 | 3 | 23-15 | 35 |
| „რეალი" | 16 | 9 | 2 | 5 | 28-17 | 29 |
| „ვილიარეალი" | 16 | 8 | 5 | 3 | 25-16 | 29 |
| „დეპორტივო" | 16 | 8 | 5 | 3 | 23-14 | 29 |

იტალია სერია „ა"-ს მე-16 ტურში „მილანმა" საკუთარ მოედანზე გაანადგურა „მესინა". ორი ბურთი უკრაინელმა ფორვარდმა ანდრეი შევჩენკომ გაიტანა. თითოჯერ თავი გამოიჩინეს პირლომ და ჯილარდინომ.

„მილანი": დიდა, კალაძე, შიმიჩი, სტამი, გატუზო, კაკა, პირლო (ფოგელი, 84), ზეედორფი (ამბროზინი, 76). სერჟინიო, ჯილარდინო, შევჩენკო (ვიერი, 63).

ტურინის „იუვენტუსმა" კი პირველი შეხვედრა დაასრულა ფრედ. „ბებერი ქალბატონი" სტუმრად 0-1 აგებდა „ლაციოსთან", მაგრამ ტრეზეგეს გატანილმა ბურთმა გადაარჩინა დამარცხებას — 1-1.

„იუვენტუსი": აბიატი, კანავარო, კიელნი, ტურამი, ზლაზი, კამორანეზი (სალაიეტა, 82), ნედვედი, ვიეირა, ძამბროტა, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე (დელ პიერო, 79).

სხვა შეხვედრები: „რეჯინა" — „ინტერი" 0-4, „სიენა" — „პარმა" 2-2, „კალიარი" — „ასკოლი" 2-1, „კიევო" — „უდინეზე" 2-0, „ემპოლი" — „ფიორენტინა" 1-1, „პალერმო" — „ლივორნო" 0-2, „სამპდორია" — „რომა" 1-1, „ტრევიზო" — „ლეჩე" 2-1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იუვენტუსი" | 16 | 14 | 1 | 1 | 36-9 | 43 |
| „ინტერი" | 16 | 11 | 2 | 3 | 32-13 | 35 |
| „მილანი" | 16 | 11 | 1 | 4 | 36-18 | 34 |
| „ფიორენტინა" | 16 | 10 | 3 | 3 | 31-17 | 33 |
| „ლივორნო" | 16 | 9 | 4 | 3 | 19-14 | 31 |

გაგაცნობთ საფრანგეთის ჩემპიონატის მე-19 ტურის შედეგებს: „ლანსი" — „ლე მანი" 2-0, „მონაკო" — „ტულუზა" 1-0, „აიაჩო" — პსჟ 1-1, „სტრასბური" — „მარსელი" 0-1, „ტრუა" — „სოშო" 2-1, „მეცი" — „ნიცა" 1-0, „ოსერი" — ნანსი" 0-1, „ბორდო" — „ნანტი" 0-0, „რენი" — „სენტ ეტიენი" 0-1, „ლიონი" — „ლილი" 1-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლიონი" | 19 | 13 | 5 | 1 | 30-13 | 44 |
| „ლანსი" | 19 | 7 | 11 | 1 | 27-14 | 32 |
| „ბორდო" | 19 | 8 | 8 | 3 | 17-11 | 32 |
| „ოსერი" | 19 | 10 | 2 | 7 | 26-21 | 32 |
| „მონაკო" | 19 | 9 | 4 | 6 | 19-13 | 31 |

* * *

ჰოლანდიის ჩემპიონატის მე-16 ტურში შოთა არველაძის „ალკმაარმა" საკუთარ მოედანზე 3-0 დაამარცხა „ვალვაიკი".

სხვა შეხვედრები: პსვ — „ტილბურგი" 4-1, „როზენდალი" — „როდა" 0-2, „ჰეერენვენი" — „ტვენტე" 3-1, „დენ ჰააგი" — „ფეიენოორდი" 2-1, „გრონინგენი" — „ნაიმეგენი" 3-0, ჰერაკლესი" — „უტრეხტი" 1-1, „ბრედა" — „აიაქსი" 0-2, „სპარტა" — „ვიტესი" 1-0. სატურნირო ცხრილში 38-38 ქულა აქვთ „ალკმაარსა" და პსვ-ს.



### კანი „ბაიერნში" 2008 წლამდე დარჩება

მიუნხენის „ბაიერნის" გოლკიპერი ოლივერ კანი უახლოეს დღეებში ახალ კონტრაქტს გააფორმებს თავის გუნდთან. ხელშეკრულების ვადა 2008 წლამდე განისაზღვრება.

„მე თავს კარგად ვგრძნობ და დარწმუნებული ვარ, რომ 2008 წლამდე მაღალ დონზე ვითამაშებ" – ამბობს ოლივერ კანი.

## „სან პაულუ" — მსოფლიოში უძლიერესი

ბრაზილიურმა საფეხბურთო კლუბმა „სან პაულუმ" მსოფლიოში უძლიერესი ტიტული მოიპოვა. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში „სან პაულუმ" უეფას ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „ლივერპულს" 1-0 მოუგო. ეს ერთადერთი ბურთი შეხვედრის 27-ე წუთზე მინეირომ გაიტანა.

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატმა საკონტინენტთაშორისო თასის შეხვედრები შეცვალა. ახალ შეჯიბრებაში მონაწილეობა ექვსი კონტინენტის უძლიერესმა კლუბებმა მიიღეს. პრიორიტეტი ევროპელებს და სამხრეთამერიკელებს მიენიჭათ, — „ლივერპული" და „სან პაულუ" ნახევარფინალიდან ჩაერთვნენ. ორივე გუნდმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალამდე მიაღწია და გადამწყვეტ მატჩში სწორედ მათ შორის გაირკვა მსოფლიოში უძლიერესი საფეხბურთო კლუბის ვინაობა.

აქამდე „ლივერპულს" აქ ორჯერ ჰქონდა ნათამაშევი მატჩები საკონტინენტთაშორისო თასზე — 1983 წელს ინგლისელებმა ბრაზილიურ „ფლამენგოსთან" წააგეს სამი წლის შემდეგ — არგენტინულ „ინდეპენდიენტესთან".



„ლივერპული" „სან პაულუსთან" შეეცადა ნავსის გატეხვას, მაგრამ ვერ მოახერხა. არადა, მეორე ტაიმში „ლივერპული" თავგამოდებით უტევდა, ბრაზილიელები მოედნის ცენტრსაც პრაქტიკულად არ გაცილებიან. ევროპელებმა სამი ბურთი გაიტანეს, მაგრამ სამივე შემთხვევაში მსაჯებმა თამაშგარე მდგომარეობა (?) დააფიქსირეს. „ლივერპულის" მოთამაშეებმა 17 კუთხური ჩააწოდეს (!), ბრაზილიელებმა — არც ერთი... და მაინც, „სან პაულუმ" მინიმალური უპირატესობა, რის ვაი-ვაგლახით შეინარჩუნა.

გუნდების შემადგენლობა:

„სან პაულუ": როჟერიო სენი, სისინიო, ფაბაო, ედკარლოსი, ჟუნიორი, ლუგანიო, მინეირო, ჟოზუეი, დანილო, ამოროზო, ალოიზიო (გრაფიტე,75).

„ლივერპული": რეინა, ფინანი, უორნოკი (სოსე, 79), ჰიუიპია, კარაგერი, ჯერარდი, ხავი ალონსო, კიუელი, ლუის გარსია, სისოკო (პონგოლი, 79), მორიენტესი (კრაუჩი, 85).

შეხვედრას იოკოჰამას (იაპონია) სტადიონზე 68 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

## გაზაფხულზე... „ფინალები" დიდ ფინალამდე

გაიმართა ევროპის ჩემპიონთა ლიგის, მერვედფინალისა და უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური ეტაპის კენჭისყრა. გაგაცნობთ მათ შედეგებს.

**ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი.**

„ჩელსი" (ინგლისი) — „ბარსელონა" (ესპანეთი)
„რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „არსენალი" (ინგლისი)
„ვერდერი" (გერმანია) — „იუვენტუსი" (იტალია)
„ბაიერნი" (გერმანია) — „მილანი" (იტალია)
პსვ (ჰოლანდია) — „ლიონი" (საფრანგეთი)
„აიაქსი" (ჰოლანდია) — „ინტერი" (იტალია)
„ვილიარეალი" (ესპანეთი) — „რეინჯერსი" (შოტლანდია)
„ბენფიკა" (პორტუგალია) — „ლივერპული" (ინგლისი)

პირველი მატჩები გაიმართება 21-22 თებერვალს, ხოლო განმეორებითი – 7 და 8 მარტს.

**უეფას თასის გათამაშება. 1/16 ფინალი.**

„ლიტექსი" (ბულგარეთი) — „სტრასბური" (საფრანგეთი)
„შტუტგარტი" (გერმანია) — „მიდლსბრო" (ინგლისი)
„სლავია" (ჩეხეთი) — „პალერმო" (იტალია)
„ჰეერენვენი" (ჰოლანდია) — „სტიაუა" (რუმინეთი)
„ბოლტონი" (ინგლისი) — „მარსელი" (საფრანგეთი)
„ჰერტა" (გერმანია) — „რაპიდი" (რუმინეთი)
„მონაკო" (საფრანგეთი) — „ბაზელი" (შვეიცარია)
„უდინეზე" (იტალია) — „ლანსი" (საფრანგეთი)
„შალკე" (გერმანია) — „ესპანიოლი" (ესპანეთი)
„ბრიუგე" (ბელგია) — „რომა" (იტალია)
„ლილი" (საფრანგეთი) — „შახტარი" (უკრაინა)
„ბეტისი" (ესპანეთი) — „ალკმაარი" (ჰოლანდია)
„თუნი" (შვეიცარია) — „ჰამბურგი" (გერმანია)
„არტმედია" (სლოვაკეთი) — „ლევსკი" (ბულგარეთი)

როგორც ხედავთ, უეფას ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ჩატარდება რამდენიმე ისეთი თამაში, რომლებსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ „ვადამდელი ფინალები".

ყველაზე საინტერესო და ცენტრალური იქნება ლონდონის „ჩელსისა" და ესპანური „ბარსელონას" უპირატესობა. ძნელია წინასწარ პროგნოზის გაკეთება. შარშანაც ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. წლის სხვაობა იმაშია, რომ „ბარსელონა" პირველ შეხვედრას სტუმრად თამაშობს. ზოგიერთი სპეციალისტი ამაში ხედავს კატალონიელთა გარკვეულ უპირატესობას.

მნიშვნელოვანი იქნება „ბაიერნი" „მილანის" თამაშები. გერმანულ კლუბს, მოგეხსენებათ, საკუთარი პოზიციების დაბრუნება სურს ევროპულ ასპარეზზე. ოლივერ კანი და მისი თანაგუნდელები, ცხადია, ბოლომდე დაიხარჯებიან, რათა წარმატებას მიაღწიონ, თუმცა, სპეციალისტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მეოთხედფინალში „მილანი" უნდა გავიდეს.

„იუვენტუსმა" სტუმრად რაც შეიძლება ნაკლები ბურთი უნდა მიიღოს საკუთარ კარში ბრემენის „ვერდერისაგან", რათა შემდეგ დამაჯერებლად ითამაშოს ტურინში.

მადრიდის „რეალს" საკმაოდ დიდი ბრძოლები ელის ლონდონის „არსენალთან".

ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებული „ლივერპული" პირველ მატჩს სტუმრად ატარებს „ბენფიკასთან".

რაც შეეხება საინტერესო წყვილებს უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალიდან, ქართველ გულშემატკივართა ყურადღებას მიიპყრობენ ჰოლანდიური „ალკმაარი" და გერმანული „შალკე". ეს გასაგებიცაა. „ალკმაარის" ღირსებას შოთა არველაძე იცავს, ხოლო „შალკეს" ერთ-ერთი ლიდერი ლევან კობიაშვილია.

„ალკმაარის" მეტოქე ესპანური „ბეტისია". პირველი შეხვედრა ესპანეთში ტარდება და ეს გარკვეულ უპირატესობას აძლევს ჰოლანდიურ კლუბს.

„შალკე" კი შინ მიიღებს „ესპანიოლს". ერთი სიტყვით, გაზაფხულზე ფეხბურთის გულშემატკივრებს ლამაზი სანახაობა ელით.

# ნბა

## „ატლანტამ" ოვერტაიმში იმარჯვა

### ფაჩულია — ერთ-ერთი შედეგიანი მოთამაშე

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში შაბათს, შაკილ ო'ნილის „მაიამი" სტუმრად დამარცხდა „კლივლენდთან" 107:115. სტუმრებს ვერ უშველა უეიდის შედეგიანმა თამაშმა, რომელმაც „მაიამის" 33 ქულა შესძინა.

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში კი ჯეიმსი ბრწყინავდა. მან 41 ქულა (!) დააგროვა და 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. ასევე შედეგიანად ითამაშა „კლივლენდის" კიდევ ერთმა კალათბურთელმა მარშალმა, რომლის ანგარიშზე 25 ქულაა.





„სან ანტონიომ" საკუთარ მოედანზე ერთი ქულის სხვაობით მოახერხა „საკრამენტოს" დამარცხება — 90:89. მასპინძელთა გუნდის წარმატება განაპირობა თიმ დანკანისა და ტონი პარკერის კარგმა თამაშმა.

დანკანმა 24 ქულა მოაგროვა და 14-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან, ხოლო პარკერის ანგარიშზეა 15 ქულაა. გარდა ამისა, ამ უკანასკნელმა 12 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

**სხვა შეხვედრები:** „კლიპერსი" — „ჰიუსტონი" 89:81, „ჩიკაგო" — „ბოსტონი" 118:86, „ნიუ-იორკი" — „ინდიანა" 96:102, „შარლოტა" — „დეტროიტი" 78:103, „მემფისი" — „ფინიქსი" 91:87, „მილუოკი" — „იუტა" 80:88.

**გუშინ** ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ" ოვერტაიმში დაამარცხა „დენვერი" 110:107. ქართველი კალათბურთელი ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავის გუნდში. მან 15 ქულა მოაგროვა და 13-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. ყველაზე შედეგიანად ფაჩულიას თანაგუნდელმა ჯონსონმა ითამაშა, რომლის ანგარიშზეა 30 ქულა და 9 შედეგიანი გადაცემა.

„ლეიკერსი" საკუთარ მოედანზე დამარცხდა „ჰიუსტონთან" 2 ქულის სხვაობით — 74-76. მასპინძლებს კობი ბრაიანტის 24-მა ქულამ ვერ უშველა.

**გუშინდელი სხვა შეხვედრები:** „ტორონტო" — „ფილადელფია" 80:107, „ნიუ-ჯერსი" — „გოლდენ სტეიტი" 118:90, „ნიუ-ორლეანი" — „სან ანტონიო" 89:76, „დალასი" — „მინესოტა" 102:95, „პორტლენდი" — „ვაშინგტონი" 97:92.

აღმოსავლეთ კონფერენციაში 20 თამაშიდან 17 გამარჯვებით ლიდერობს „დეტროიტი". 13-13 მოგება აქვთ „ინდიანასა" და „მილუოკს", 12 — „კლივლენდს". „ატლანტა" 6 გამარჯვებით მე-12 ადგილზეა.

დასავლეთ კონფერენციაში 22 თამაშიდან 18 გამარჯვებით პირველ ადგილზეა „სან ანტონიო". სამი გამარჯვებით ნაკლები აქვს მოპოვებული „დალასს".

# რუისს ტიტული ვალუევმა წაართვა

## რუს მოკრივეს კინაღამ „ოქროს სარტყელი" მოპარეს

რუსი მოკრივე ნიკოლაი ვალუევი ვბა-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ეს ტიტული მან ბერლინში გამართულ ბრძოლაში ჩამოართვა ამერიკელ ჯონ რუისს.

სუპერმძიმეწონოსანმა ვალუევმა ქულებით იმარჯვა. ამერიკელ რუისს, საერთოდ, უჭირს ბრძოლების მოგება ნოკაუტით, — ასეთი რამ უკანასკნელად 10 წლის წინ მოახერხა... მას შემდეგ ჯონი თუ იმარჯვებდა, მხოლოდ — ქულებით.

ვალუევთან ბრძოლის პირველივე წუთიდან ჯონ რუისი გააქტიურდა, რაუნდიც მისი უპირატესობით დასრულდა. ამერიკელის ასეთივე მცირე უპრატესობით მიმდინარეობდა მეორე და მესამე რაუნდები.

მეოთხე რაუნდიდან უკვე ვალუევმა შეუტია, თავიდან არცთუ ისე კარგად გამოსდიოდა დარტყმები, თუმცა, ბოლო რაუნდებში მისი უპირატესობა უფრო თვალსაჩინო გახდა. ფინალური გონგის შემდეგ მსაჯებმა უპირატესობა რუს მოკრივეს მიანიჭეს. ეს გადაწყვეტილება ბევრმა არ მიიჩნია სამართლიანად. არ არის გამორიცხული, რომ ვალუევს თავისი სიძლიერის დამტკიცება კიდევ ერთხელ, ისევ რუისთან ბრძოლაში მოუწიოს.

„ჯერ კიდევ ვერ აღმითქვია საკუთარი თავი მსოფლიო ჩემპიონის რანგში, — განაცხადა ვალუევმა ბრძოლის მეორე დღეს, — ძალიან გადავიღალე. გამარჯვების შემდეგ იყო მილოცვები, ბანკეტი. სასტუმროში მხოლოდ დილის 7 საათზე დავბრუნდი. მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვე — ამას მთელი ცხოვრება ველოდი".

◆ ***ბრძოლის დასრულებისთანავე რინგზე სკანდალი მოხდა. ჯონ რუისის მენეჯერი და მწვრთნელი ნორმან სტოუნი ოქროს სარტყელის მოპარვას ცდილობდა.***



— როცა გამარჯვებულად გამომაცხადეს, ოქროს სარტყელიც გადმომცეს. რინგზე უამრავი ადამიანი იყო, სარტყელი ჩვენი გუნდის ერთ-ერთ წევრს გადავეცი. მას ჯილდო ხელიდან გამოგლიჯეს და ნადავლთან ერთად დარბაზის დატოვებას შეეცადნენ, მაგრამ ნორმანი და მისი ბანდის წევრები პოლიციამ დროულად დააკავა.

**ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა აგრეთვე ვალუევის მწვრთნელმა, სომეხმა სპეციალისტმა მანველ გაბრიელიანმაც.**

◆ ***შეაფასეთ ბრძოლა...***

— მეტად მძიმე გამოდგა. რუისი ბინძურ წესებში ჩხუბობდა. ამას არ მოველოდი. მიმაჩნია, რომ ვალუევმა დამსახურებულად გაიმარჯვა. ის რუისს ნოკაუტითაც დაამარცხებდა, ამ უკანასკნელს „სუფთად" რომ ეჩხუბა.

◆ ***როდის იგრძენით, რომ ვალუევი მსოფლიო ჩემპიონი ხდებოდა?***

— მეცხრე რაუნდში. მე უკვე შევწყვიტე ნერვიულობა და ყვირილი. მივხვდი — ვალუევი უკვე ჩემპიონი იყო.

# ტიგრან პეტროსიანის მემკვიდრე



ჭადრაკში მსოფლიოს თასის მფლობელი სომეხი მოჭადრაკე, 23 წლის ლევონ არონიანი გახდა. შეჯიბრება შაბათს დასრულდა ქალაქ ხანტი-მანსიისკში. ტიგრან პეტროსიანის შემდეგ ასეთი მნიშვნელოვანი წარმატებისათვის სომეხ მოჭადრაკეთაგან არავის მიუღწევია. ეს ლევონ არონიანმა მოახერხა.

ფინალში არონიანის მეტოქე იყო მსოფლიოს ექსჩემპიონი, უკრაინელი რუსლან პონომარიოვი. ძირითადი ორივე პარტია სომეხმა მოჭადრაკემ მოიგო. მან მსოფლიო თასთან და სოლიდურ საპრემიო თანხასთან ერთად მოიპოვა უფლება, იასპარეზოს მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატში.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**20 დეკემბერი, სამშაბათი**

საქართველოს ტელევიზია. მზე. ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგის მატჩები: (გამეორებით), „მიდლსბრო" — „ტოტენჰემი" (12.00), „ასტონ ვილა" — „მანჩესტერ იუნაიტედი" (15.00). НТВ. ბილიარდი (3.30), НТВ плюс спорт. „ჰარმონიის ფორმულა" (11.25), საჭადრაკო მიმოხილვა (11.45), „ექო" (12.15), „ყველაზე ძლიერ ადამიანში აშშ-ში" (15.30), ფიგურული სრიალი. იაპონიის გრან პრის გათამაშება (17.00), ჰოკეი ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ედმონტონი" — „კალგარი" (19.45), აფროსნობა. მოგზაურობა დედამიწის გარშემო (22.30), სნოუბორდი. მსოფლიოს თასის ეტაპი. (0.00), ახალი ამბები (1.00). EUROSPORT. ოლიმპიური თამაშები. „მისია — „ტურინი" (11.30), სნოუბორდი მსოფლიოს თასი. (12.00), ექსტრემალური თამაშები (12.30), ფეხბურთი. ევროპის საუკეთესო 24 კლუბი (13.30), რალი. პარიზი დაკარი (19.00), ბიატლონი. მსოფლიო თასი (16.30), ფიგურული სრიალი. საჩვენებელი შოუ ტურინში (18.30), ფეხბურთი. პროგრამა „გოლი" (19.30), უეფას ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (20.30), კრივი. კვირის საუკეთესო ბრძოლები (22.30), კრივის საერთაშორისო შეჯიბრება იტალიაში (0.00).

**21 დეკემბერი, ოთხშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. მზე.** საფეხბურთო ჩემპიონატების მიმოხილვა: ინგლისის (11.00), ესპანეთის (18.00). НТВ плюс спорт. საჭადრაკო მიმოხილვა (11.45), სნოუბორდი. მსოფლიოს თასი (12.15), აფროსნობა. მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო (13.45), ტრიატლონი. მსოფლიოს თასი (15.00), ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა (16.00). „სპორტული გლობუსი" (18.00), „თოვლის სამყარო" (18.30), ჰოკეი (19.20), ნჰლ-ის გუნდები: „ედმონტონი" (22.15), ოლიმპიური თამაშები. „ტურინის გზაზე" (22.45), სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი (23.45), ახალი ამბები (1.15). EUROSPORT. ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურინგის კლასში. სეზონის მიმოხილვა (11.30), სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი, გიგანტური სლალომი (12.30), რალი. პარიზი — დაკარი (14.30), სპორტული ცეკვები (17.30), ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი (18.30), ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა (20.30), სნუკერი — „დიდების დარბაზი" (22.30), ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა (23.45), გოლფი (0.45), ცხენოსნობა. მსოფლიოს ათეული (11.5), მსოფლიოს თასის გათამაშება (2.45), მოტოსპორტი (4.15).

**22 დეკემბერი, ხუთშაბათი**

НТВ плюс спорт „ჰარმონიის ფორმულა" (11.25), ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა (11.45), ჰოკეი (13.15), ოლიმპიური თამაშები. „ტურინის გზაზე" (16.15), „თოვლის სამყარო" (17.35), ნჰლ-ის გუნდები: „ედმონტონი" (18.00), კალათბურთი. ნბა-ს ჩეპიონატი. „მემფისი" — „პორტლენდი" (20.00), ფრენბურთი. „ექსი-ექსზე" (22.30), კვირის მიმოხილვა (23.00), კალათბურთი. ნბა-ს მატჩების მიმოხილვა (23.45), საჭადრაკო მიმოხილვა (0.15), სამთო-სახილამურო სპორტი. მსოფლიო თასი (0.45), ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ნიუ-იორკი" — „ტამპა ბეი" (4.00). EUROSPORT. ექსტრემალური სპორტი (12.00), სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი (15.30), სპორტული ცეკვები (17.30), ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა (20.30), პროგრამა „გოლი" (22.30), ბრძოლის ხელოვნების კლუბი. მსოფლიო გრან პრი (23.00), სუმო (2.00), ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა (4.15).

# კროსვორდი

**თარაზულად:** 2. ზაფხულის VIII ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 4. ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, იბრაჰიმ... 5. „ჩელსის" და „ნაპოლის" ყოფილი ფეხბურთელი ჯანფრანკო... 6. ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე აფრიკული გუნდი, 7. მუქარა ჭადრაკში, 8. პოლონეთის საფეხბ. კლუბი, 11. ფეხბურთელ კინის სახელი, 13. ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქი, 14. სიდნეიში ოლიმპიური თამაშების სიმბოლო, 16. მძლეოსნური ბილიკის საფარის სახეობა, 17. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 18. ბურთის გვერდითი ხაზიდან მოწოდება, 19. ლეგენდარული ფრანგი სამთომოთხილამურე, ოლ. ჩემპიონი (1968).



**შვეულად:** 1. იტალიის საფეხბ. კლუბი, 2. „იუვენტუსის" ფეხბურთელი, 3. ცნობილი ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი, 4. მხედრის შარვალი, 9. პირველი კოსმონავტი, 10. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი, მს. ჩემპიონი (1958), 11. ლონდონის „ჩელსის" ყოფილი მწვრთნელი, 12. უმაღლესი ოლიმპიური დოკუმენტი, 15. საჭადრაკო ფიგურა.

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. უშბა, 3. კორტი, 5. ფარიკაობა, 9. ონო, 10. კროლი, 11. ოდო, 14. როა, 16. გირი, 17. კარპოვი, 20. მეოხი, 24. ფრე, 25. შენგელია, 26. აფი, 27. ჩიბურდანიძე, 30. გავაშელი, 33. გაგუა, 34. გიგიაძე, 35. კუ, 36. პასი.

**შვეულად:** 2. შანხაია, 3. კარავი, 4. რალი, 6. ამორო, 7. კიი, 8. ანრი, 12. ფიფია, 13. ბლაგიძე, 15. ალე, 18. „პორტუ", 19 ბე, 20. მალანია, 21. ობგაიძე, 22. კინი, 23. დოჩია, 25. შტანგა, 28. ბიბა, 29. როგი, 31. ლუკა, 32. „აია".

# საჭადრაკო ამოცანა

ო. ეფროსინინი, ო. პოდკორიტოვი

„შახმატნოე ობოზრენიე"

(1988 წ.)



შამათი 3 სვლაში

№98-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ეe3!!

1. ...... მფ:f7 2. ლf2X

1. ...... ე:e3 2. მg6X

# სახელოვანი მამის თვალწინ

**მოკრივე ქალთა შორის მეორე საშუალო წონაში მსოლიო ჩემპიონმა ლეილა ალიმ ბერლინში არასატიტულო ბრძოლა მოუგო შვედ აზუ მარიუსანდელს. ლეილამ მეხუთე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით იმარჯვა. ბრძოლას ესწრებოდა ჩემპიონის მამა — კრივის ლეგენდა მუჰამედ ალი.**

# უეინ გრეტცკის მწვრთნელობაც აღარ სურს

ნჰლ-ის ვარსკვლავმა უეინ გრეტცკიმ სამწვრთნელო კარიერა დაასრულა. მის შესახებ ოფიციალური განცხადება მან ორიოდე დღის წინ გააკეთა. შეგახსენებთ, რომ გრეტცკი ბოლო პერიოდში „ფინიქსს" თავკაცობდა.

სამწვრთნელო კარიერის დასრულების მიზეზად გრეტცკიმ ოჯახური მდგომარეობა დაასახელა. „ფინიქსის" ხელმძღვანელობა გაგებით მოეკიდა ლეგენდარული ჰოკეისტის გადაწყვეტილებას.

„ჩვენ ყოველთვის ვცემთ პატივს უეინ გრეტცკის. ის ყოველთვის აყენებდა ოჯახს წინა პლანზე", — განაცხადა „ფინიქსის" გენერალურმა მენეჯერმა მაიკლ ბარნეტმა.

# მეთხილამურე აკერმანი გერმანიაში საუკეთესოდ აღიარეს

**გერმანიის წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს მეთხილამურე რონი აკერმანი. მან ყველაზე მეტი ხმა მიიღო ქვეყნის ჟურნალისტებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით. მეორე ადგილზე გავიდა გერმანელი კალათბურთელი, ნბა-ს კლუბ „დალასის" მოთამაშე დირკ ნოვიცკი. ქალ სპორტსმენთა შორის „წლის საუკეთესოდ" აღიარეს ბიატლონისტი უშო დიზლი.**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com